

საბავშვო



1927 სენსიტივიზაციის პერიოდული

№ 3


შ ი ნ ა ა რ ს ი:

	83.
1. საქართველოს გასაბჭოების 6 წლის თავი— შანის	2
2. 25 თებერვალი— ლექსი—მ. პალუმორდვინოვის	3
3. ცხოვრებას დაუბრუნდა— კ. ლორთქიფანიძის	4
4. საბჭოთა საქართველო— ს. ერ—ლის	8
5. სილვერი— ე. ზოლასი	10
6. წითელი არმია და მისი მნიშვნელობა— ტანის	14
7. პიონერი და ბრძოლა ახალი სოფლისათვის— ვ. იმედაძის	16
8. ჩვენი ძმები მსოფლიოში	18
9. ჩვენი მიღწევები— კ. ლეოსი	19
10. როგორ უნდა აიკინძოს წიგნები	21
11. საუბარი ბავშვ კორესპონდენტებთან	23
12. ბავშვთა შემოქმედება:— ა მოსიავას, ი. ჩხარტიშვილის, ვ. მირიანაშვი- ლის და ა. მაზარაძის ლექსები	24
13. გასართობი	

329.152(05)

32

მუშათა კლასის საქმიანობის იუვე მზად!



3-47

კიბნეჭი

1927
15 თებერვალი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქართველოს შ. კ. თ. ცენტრალური მითრის (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცკასთან) აქრნალი ბავშვისათვის

წელიწადი II
№ 3



ჩვენ ვმტკიცდებით, ვიზრდებით და ვაზენებთ სოციალისტურ საზოგადოებას.



საქართველოს გასაზრდობის 6 წლის თავი

25 თებერვალი საქართველოს მშრომელი ხალხისათვის ისტორიული დღეა. 25 თებერვალი—საქართველოს ოქტომბერია.

25 თებერვალს საქართველოს მუშები და გლეხები მოექცენ სათავეში სახელმწიფოს, და მშრომელი ხალხი ჩააბეს საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის ფერხულში.

6 წელი სრულდება ამ ისტორიული დღიდან; ექვსი წელია, რაც საქართველოს მუშებმა და გლეხებმა კისრიდან გადაიგდეს როგორც გარეშე იმპერიალისტების ხუნდები ისე შინაგანი ბურჟუაზიის და მემამულეთა რეჟიმი.

გასაბჭოების ექვსი წლის თავზე ჩვენს მუშურ-გლეხურ რესპუბლიკას მრავალი მიღწევა აქვს: სასოფლო-სამეურნეო აღმშენებლობაში, მრეწველობის დარგში, ერთა მშვიდობიანობის დამყარების მხრივ, სწავლა-განათლების დარგში და სხვ.

ამიერკავკასიის (საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის) მშრომელი ხალხი დღეს მეტისმეტად მეგობრულად და თანხმობით ცხოვრობს, ერთად იბრძვის სოციალისტური საზოგადოების დასაარსებლად, წინააღმდეგ იმ მდგომარეობისა, რომელიც იყო აქ მენშევიკების დროს, როდესაც ბრძოლა, სისხლის ღვრა მათ შორის ყოველი ფეხის გადადგმაზე სწარმოებდა.

ჩვენ ვიცით, რომ წინათ მრეწველობის განვითარების მხრივ საერთოდ ამიერკავკასია და კერძოდ საქართველო თითქმის არარაობას წარმოადგენდა. იყო მხოლოდ სამრეწველო ზაქო, რკინის გზა, რამოდენიმე უმნიშვნელო დაწესებულება ტფილისში, ბათუმში და ქიათურაში, მაგრამ ყოველივე ესეც საკმაოდ იქნა განადგურებული ამიერკავკასიის კონტრ-რევოლუციის მიერ. ამ 6 წლის განმავლობაში ყველაფერი ეს უკვე აღვადგინეთ და ამავე დროს დავიწყეთ ახალი აღმშენებლობა მრეწველობის დარგში. ამ მიზნით გასულ 1925 და 26 წ. 6¹/₂ მილიონი დაიხარჯა, წელს კი ათი მილიონის დახარჯვაა განზრახული.

ამავე 6 წლის განმავლობაში დაიწყო ჩვენში მუშაობა ელექტრო-აღმშენებლობის, ელექტროფიკაციის დარგში, ავაშენეთ ზაჰესი, მუშაობა მიმდინარეობს აჭარისტანის, აბაშის და სხვა მრავალი ელსადგურის ასაგებად. მრავალდება ჩვენში ქარხანა-ფაბრიკებიც. მაგ. ქუთაისში, ოზურგეთში, ფოთში, აჭარისტანში, გორის მაზრაში გაიხსნა და იხსნება სხვადასხვა ხასიათის ახალი ქარხანა ფაბრიკები.

სასოფლო მეურნეობა ყოველგვარ დახმარებას იღებს. გლეხების მეურნეობის ორმოცდათორმეტი პროცენტი განთავისუფლებულია გადასახადებისაგან.

სოფელს ეძლევა ტრაქტორები, სხვადასხვა მანქანები, აგროდახმარება. სოფელი ეცნობა მიწათმოქმედების და მიწით სარგებლობის ახალ გზებს, ახალ საშუალებებს. სესხის სახით დახმარება აღმოეჩინა სხვადასხვა კულტურულ მეურნეობას—მეჩაიობას, მეთამბაქოობას, მებამბეობას და მებაბრეშუმეობას, რამაც გააფართოვა და გააუმჯობესა მეურნეობის ეს სახეობანი.

გარდა ამისა, დიდი მიღწევები გვაქვს სახალხო განათლების დარგში.

საბჭოთა ხელისუფლებამ ამ სფეროში ძირიან-ფესვიანი გადახალისება მოახდინა, ახალ საფუძველზე იქნა აგებული მთელი შრომის სკოლები, მუშათათვის გახსნილ იქნა მუშააკები, საქარხნო—საფაბრიკო სკოლები, გლეხთა ახალგაზრდობისათვის—გლეხთა სკოლები და სხვა მრავალი სკოლა, სადაც უღარიბესი ახალგაზრდობა, რომლებისთვისაც მეფის და მენშევიკების დროს სწავლა სანატრელი იყო, დღეს დიდი სიყვარულით და ენერგიით ეწაფება მეცნიერებას.

რაც შეეხება ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობას, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივაც დიდი მიღწევები გვაქვს. მართალია, კაპიტალისტური ქვეყნები თანდათან უფრო და უფრო მეტი სიძულვილით იმსჯელებიან ჩვენდამი, ვინაიდან ხედავენ, რომ ჩვენი არსებობა, ჩვენი აღმშენებლობა არის მათი გახრწნის, მათი დალუპვის წინამორბედი და ამიტომ მუდამ მზად არიან ვაგვანადგურონ, მაგრამ მართალია ისიც, რომ ისინი კარგად გრძნობენ, რომ სუსტნი არიან, ვინაიდან მათი პროლეტარიატი და ახალშენები ჩვენ გვიჭერენ მხარს.

და როდესაც დღეს ჯამს ვუკეთებთ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მიერ ექვსი წლის განმავლობაში ჩატარებულ მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო მუშაობას, ყოველმა მშრომელმა, ყოველმა მოსწავლემ და პიონერმა უნდა იცოდეს, რომ თვითეული ჩვენი ნაბიჯი, ყოველი ჩვენი მიღწევა—ეს ძლიერი წინსვლაა საბჭოების ხელისუფლებისათვის, მის მიერ დასახული მიზნისაკენ.

მთელი ის გზა, რომელიც განვლო ათი წლის განმავლობაში საბჭოთა საქართველომ, მთელი მიღწევანი, რომელიც გვაქვს მუშათა და გლეხთა დიქტატურის ამ პერიოდში პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის და ყოფა-ცხოვრების დარგში—ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ჩვენ ვამყარებთ სოციალიზმს.

ამ შეგნებით მტკიცედ განვაგრძობთ რევოლუციონურ საქმეს ლენინის გზით და ანდერძით.

შანი.

25 თებერვალი.

დღეს სულ სხვა მზე ანთო
საქართველოს სახეზე
და მკერდში ჩაუქსოვა
სულ სხვა სიტბოს სხივები,
ვხედავ წითელ დროშას და
გრძნობა ისე მაქეზებს,
რომ იმის ერთ ნაფლეთსაც
მსხვერპლად შევეწირები.

რას არ გადაუვლია
წარსულ ბედის ტრიალში,
რა არ მოუთმენია
საქართველოს მშრომელ ხალხს,
ემის კისერზე უღელი
ოფლის წვეთთა წვიმაში
და მებრძოლი გმირების
ხმალზე ხელის მოხვევა...


დახვესებულ დღეთა რგოლს
დღეს სიმწარით ვიგონებთ,
როცა ტანჯვით სავსე დრო
ზურგზე გადავიგორეთ...

ჩვენ გვახარებს აისი
იმედის და რწმენისა
და ეს რიცხვი თებერვლის,
რიცხვი განახლებისა...

სიხარულო, გაღვივდი,
აგიზგიზდი ცეცხლივით,
ყველას გულს ჩაუქსოვე
რწმენა და აღტაცება,
დაე გავრცელდებოდე
ხმაწკრიალა ვერცხლივით,
მაგ შენს განავარდებას
ყველა დაენაცვლება.

რადგან სხვა მზე ანთია
საქართველოს სახეზე
და მკერდში ექსოვება
სულ სხვა სიტბოს სხივები,
ვხედავ წითელ დროშას და
გრძნობა ისე მაქეზებს,
რომ იმის ერთ ნაფლეთსაც
მსხვერპლად შევეწირები.

ელიზბარ პოლუმორდვინოვი.



ზაქუნის მთავარი საგუბარის კედელი და რაზები.



ქვეყნილზე აჩქარებით მიდის 10—11 წლის ბავში. წითელი ყელსახვევი გვერდზე მოქცევი, თმები დაშლია. ეტყობა, ჩქარობს.

ქვეყნილზე აჩქარებით მიდის 10—11 წლის ბავში. წითელი ყელსახვევი გვერდზე მოქცევი, თმები დაშლია. ეტყობა, ჩქარობს.

— ტაცია!
მოესმა კუთხიდან. თავი ასწია. დარაბას მსრაფლ გამოეყო გამურული, ჩამოხეული მისი ტოლა ბავში და მისკენ გამოეშურა.

— სად დაიკარგე ამდენ ხანს, ეს რა ამბავია შენს თავზე, სად იშოვე ასეთი კარგი ტანსაცმელი?

შეეკითხა გამურული და გაკვირვებით დაუწყო თვალიერება დიდი ხნის უნახავ მეგობარს.

პირველი ბავშვის სახეზე ღიმილი ათამაშდა. შემდეგ ისევ ღინჯი სახე მიიღო და უთხრა:

— მე ტაცია არა მქვინ ახლა!

— მაშ რა? ნათლობაზე არ ვყოფილვარ და საიდან მეცოდინება! — გაეხუმრა მეორე. — ჩვენ უკვე გადავწყვიტეთ, რომ სადმე გაები და დაგიჭირეს, არსად სჩანდი, შენ კი, ხედავ, რა მოდაზე გამოწყობილხარ! მითხარი ჩქარა, სად იყავ, რატომ არ მოდიოდი ჩვენთან?



— მე ტაცია არა მქვინ ახლა.

— ვერც შემდეგ მოვალ! — პასუხის მაგიერ უთხრა პირველმა. მეორეს უფრო გაუკვირდა.

— გადიდკაცდი და აღარ გვკადრულობ?

— არა, — იწყინა პირველმა. — არა გამომიშვებენ, საქმეები მაქვს, ვსწავლობ, აი, ახლაც კრებაზე მივდივარ; იცი, პავლიკ, შენც წამოდი, თუ ძველ ცხოვრებას და უქმად ხეტიალს თავს დაანებებ, იქ დაგარჩენენ... იქ ზარმაცები ძლიერ სძულთ!

— სად იქ, ხომ არ გადირიე, რის კრება, რის სწავლა, რას ამბობ, ლამის გული შიმშილით შემიწუხდეს.

— იქ საქმელიც ბევრია და თბილი საწოლიც!

პავლიკმა ყურები დაცქვიტა, მიუახლოვდა:

— ასეთი ამბავი მე ზღაპარში გამოგონია, აი, მათხოვარი რომ იქცა მეფედ.

პირველმა გაიცინა:

— პირველად მეც ზღაპარი მეგონა... მაგრამ მართალია! იქ ძლიერ კარგად გვივლიან, გვეფერებიან; ბალებს ვაშენებთ, მე ჩემი პატარა ბალიც მაქვს, ყოველ დილით ვრწყავ და ვუვლი; წარმოდგენებს ვდგამთ, აი, ისეთებს, გახსოვს, ჩვენ რომ ერთხელ დავესწართ; შენ ვერ შემოიპარე, გამოგაგდეს... ახლა კი თითონ მე ვთამაშობ. რა კარგია, რომ იცოდე! აი, ასე დავდგები და...

პირველი გაიმართა, ცალი ხელი ზევით ასწია და რაღაც ლექსის კითხვა დაიწყო.

პავლიკ თავის ყურებს არ უჯეროდა: როგორ, ტაცია, რომელმაც ხეტიალის და მედუქნეების ცარცვის მეტი არაფერი იცოდა, ახლა კიდევ თამაშობს, სწავლობს, ბალიც აქვს, საქმელიც, საწოლიც...

— მერე როგორ მოხვდი იქ, ან რა არის „იქ“?

— რა? საბავშვო კომუნა გაგიგონია? აი იქ ვარ. თუ როგორ მოხვდი, ვიამბობ, წავიდეთ!

— ხომ გახსოვს ჩვენი ძველი ბინა ბაღთან, სადაც ქვის კაცები დგანან? სახეზე გულმომსულობა ეტყობათ და ხელში ბურთები უჭირავთ; იცი, რა

არის ის ბურთები? ის ბომბებია, წინ რომ ხელ-
გაშვერილი კაცი დგას, ის მათი ბელადია;

იმ კაცს სახელად კამო ჰქვიან, მისი სახელი
მქვიან ახლა მეც.

— კამო?

— ჰო! მკვდარია ეხლა, სიცოცხლის დროს
მდიდრების მტერი იყო, მათ ებრძოდა და ხშირად
ბომბებსაც ესროდა.

გახსოვს, ერთხელ იმ ბალში ძლიერ ბევრი ხალ-
ხი მოგროვდა, მუსიკა უკრავდა, ჩვენც იქ ვიყავით;
ვიღაც კაცები ლაპარაკობდნენ, ისინი კამოს ცხოვ-
რებას და ბრძოლას უხატავდნენ ხალხს!

— მახსოვს, მახსოვს! — წამოიყვირა პავლიკმა: —
მერე იმ კაცებს თეთრი ტილო რომ ჰქონდათ გა-
დაფარებული, ის გადახადეს.

— ჰო, იმ დღეს კამოს ძეგლის გახსნა იყო;
ჩვენ ძლიერ გვზიოდა, შენ საღვთო პური იშოვე,
ძებვის მოსატანად მე გამგზავნეთ; იქვე დუქანში
შევედი. მელუქნე გარეთ გამოსულიყო და ბალში
მდგომ ხალხს უცქერდა... მე
ჩუმად შევიპარე, ძებვებს ხე-
ლი ვტაცე; ამ დროს დაბრუნდა
მელუქნე; ძებვები ჯიბისკენ გა-
ვაქანე და წყნარი ხმით ყველის
ფასი ვკითხე.

ყველაფერი კარგად გათავდე
ბოდა, რომ იმ წყეული მელუ-
ქნის ძალი არ ამჩნოდა; რა-
ღაცას დაუწყო სუნვა... უც-
რად მეცა და კიბიდან ძებვები
ამომართვა; თურმე, სიჩქარის
გამო, ძებვები ჯიბეში კარგად
ვერ ჩამედო და ნახევარი ზევით
დამრჩენოდა; მაშინვე კარისკენ
ვქენი პირი; მელუქნემ მომა-
სწრო და დამიჭირა, გამიგლო
ფეხებქვეშ, ის იყო ცემას მიპი-
რებდა, რომ დუქანში ვიღაც
უცნობი ყმაწვილი შემოვიდა
(ის ჩვენი ხელმძღვანელია ახ-
ლა, კომკავშირელი).

დამიხსნა გაჯავრებული მელუ-
ქნის ხელიდან; ამიყვანა, მომე-
ფერა და სახელი მკითხა; მერე
მითხრა:

— ასეთ ხეტიალს და ქურ-
ლობას უკეთესი ცხოვრება არ
გირჩევნია? მე ცრემლები მომე-
რია; შემდეგ წამიყვანა მან და

ახლა, როგორც ხედავ, პიონერი ვარ... სახელად
კამო მქვიან. იცი, რატომ? კამოს ძეგლის გახსნა
რომ იყო, მეც იმ დღეს მოგხვდი მათთან და იმ
დღიდან დავიწყე ახალი ცხოვრება...

გაოცებული პავლიკ პირდაღებული უსმენდა;
უცრად თხრილთან მივიარდა, ვიღაც მგზავრის გა-
დაგდებულ პაპიროსის ნამწვავს დაწვდა და გა-
აბოლა.

კამოს გაეცინა.

— მე კი პაპიროსის წვევს თავი დავანებე; მაგ-
ვარი მოქცევა იქ რომ შეგნიშნონ, ამხანაგები გა-
გცინებენ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

მეორემ გააფურთხა და ჰკითხა:

— მაშ აწი არ მოხვალ ჩვენთან?

— არა!

პავლიკ დაფიქრდა:

— ცირკი არის იქ?



მელუქნემ მომასწრო და დამიჭირა.



— ცირკი? არა, მაგრამ ჩვენ იქ ვვარჯიშობთ, ვთამაშობთ; ჩვენ რომ ცირკში პატარა ბავშვის თამაში მოგვწონდა, ისეთებს ახლა მეც ვაკეთებ; ჩვენ იქ ყველაფერს გვასწავლიან.

პეტიკმა თავი მოიქექა.

— მეც შენსავით ჩამაცმევვენ?

— კი, შენ დოლის დაკვრა იცი, დოლს მოგცემენ! სადმე რომ წავალთ, წინ გაგვიძღვები და დაუკრავ.

— კარგია, მაგრამ...

— რა?

— მე სწავლა მეზარება.

— მეც მეზარებოდა, მაგრამ როცა კითხვა ვისწავლე, შემეყვარდა; რამდენი საინტერესო ამბავი სწერია წიგნებში! შენ იცი, ძია ლენინ ვინ არის!

— არა, გავიგონია.

— რომ იცოდე, რა დიდი მებრძოლი იყო; ძლიერ უყვარდა მუშები და ბავშვები; მათთვის ბევრჯერ იჯდა ციხეში; მათი ცხოვრების კარგად მოწყობას ფიქრობდა.

გაჩუმდენ.

— შეჩქარება, წამოხვალ ჩემთან?

— ახლავ? მოიცადე ცოტა, დავფიქრდები, ბიჭებსაც ვნახავ და მათაც ვეტყვი; შენ სად ცხოვრობ?

კამომ მისამართი მისცა.

— სალამოს ჩვენთან წარმოდგენა არის. მოდით უსათუოდ.

— მოვალთ! ნახვამდის.

— ნახვამდის; არ დაგავიწყდეს, რაც გითხარი.

III

კლუბი სავსეა. ყოველი კუთხიდან ჟრიამული ისმის; ხვალ ახალგაზრდობის დღესასწაულია; ემზადებიან; პიონერები გულმოდგინედ და ხალისიანად ეზმარებიან კომკავშირელებს: ქ ლაღებს სჭრიან; ბელადების სურათებს ლოზუნგებით ღ ყვავილებით მოსავენ; იატაკს რეცხენ; სკამებს ასუფთავებენ; სალამოს წარმოდგენა, სტუმრებს უნდა დახვდენ ღირსეულად; ლექსებს იზეპირებენ, სცენაზე გუნდი სიმღერებს იმღერებს; კუთხეში ვილაც მოხსენებას ამზადებს, კედლის გაზეთს სწერენ.

ყველას სახე უბრწყინანს; დარბიან მარდად, ისმის ოხუნჯობა და სიცილი.

— ვანო, შენ თუ სცენაზე არ გაგაცინე, ბიჭი არ ვიქნე!

— რატომ, რას ერჩი?

— ასჯერ ვუთხარი, როლი კარგად დისწავლე მეთქი... არ იქნა; მაინც ვერ გაიტეხა ენა! ხან რეზოლუციის ამბობს, ხან რევეოლუციას.

— სცენაზე კარგად ვიტყვი.

— ვნახოთ, მაგრამ იცოდე, დაპირებული აგისრულდება.

— შენ რა გატირებს, პელო?

— გიგლა ამბობს, ბებერი ქალის კაბა უნდა ჩაიცვა, სახე უნდა გაიმუროო!

— მერე, რა გატირებს?

— არ მინდა ბებრობა.

— კამო სად არის, სტამბიდან ლოზუნგები მოიტანა?

— კი; თვითონაც მალე მოვა; გასაკვრელად ერთად უნდა წავიდეთ!

ისევ მარდი საქმიანი სირობილი, ისევ ხალისი, ისევ ჟრიამული.



— აი თქვენი ახალი მეგობრები...

IV

კლუბის დარბაზი ფერადი სანთლებითაა გაჩარღნებული. ხალხი ძლიერ ბევრი მოვიდა. ყოველივე რიგზეა; სადაც არის უნდა დაიწყოს სალამო; მაგრამ კამო მაინც ვერ ისვენებს, თითქოს რაღაც აწუხებს; დარბის, წამდალწუმ კარებისკენ იხედება; მოუთმენლობა ეტყობა.

— ვაი თუ არ მოვიდენ, სად არიან ამდენ ხანს! — მესეჯერ მაინც გაიფიქრა. კარები ხშირად იღებოდა,



მაგრამ შემომსვლელებმა არ სჩანდნენ ისინი, ვისაც ასეთი გულის ფანტაზიით ელოდა კამო.

მესამე ზარი დაჰკრეს; საცაა ფარდა აიხდება. კამომ უკანასკნელად კიდევ გაიხედა კარებისაკენ და სიხარულის ხმა ამოსკდა გულიდან: კარებში გამოჩნდა პავლიკას გამურული სახე, მერე მეორე, მესამეც; კამო მიეგება.

ისინი ილიმებიან და მორცხვად ავლებენ თვალებს იქაურობას

— სად იყავით ამდენ ხანს?

— დიდი ხანია ვარეთ ვიცდიო. სანამ არ დაბნელდა, შემოსვლა ვერ გავებდეთ, გვრცხვენოდა; ჩვენ ისეთი დახეული და ქუჩუიანები ვართ, აქკი... გულდაწყვეტით სთქვა ერთმა.

— მერე რა ვუყოთ! — მოეფერა კამო და თანაც გაუკვირდა ძველი ამხანაგების გულში ასეთი ცვლილება. ვინ? ისინი და მორცხვობა, მორიდება?

— აბა, წავიდეთ, დავათვალიეროთ; აქ ძლიერ ბევრი ოთახია: სამკითხველო, ლენინის კუთხე, სამხატვრო ოთახი, სავარჯიშო დარბაზი; რაღას უდგებხართ, წავიდეთ, — გაუმეორა კამომ განცვიფრებულ ამხანაგებს.

— ჩვენ შეგვიშვებენ?

— რასაკვირველია; მერე აქ იმღერებენ, ლექსებს იტყვიან, წარმოდგენა იქნება, მეც ვთამაშობ, ამაყად დაუმატა კამომ და გაუძღვა სახტად დარჩენილ მეგობრებს.

V

— ამხ. ხელმძღვანელო, თუ შეიძლება ორი წუთით, თქვენთან საქმე მაქვს! — მიმართა კამომ ერთ ახალგაზრდა ყმაწვილს, კუთხეში გაიხმო და დიდ-

ხანს ესაუბრებოდა; საუბრის დროს რაღაცას გაცხარებით არწმუნებდა და იქვე კუთხეში მორცხვად მდგომ მეგობრებზე ათითებდა.

— კარგი, ძლიერ კარგი; ყოჩაღ! — საუბრის გათავების შემდეგ უთხრა ხელმძღვანელმა კამოს, მხარზე ხელი დაჰკრა და მოშორდა.


სალამო გათავდა. ხალხმა ის იყო დაშლა და აპირა, რომ ამ დროს ფარდა კიდევ გადაიწია და სცენაზე გამოჩნდა ხელმძღვანელი.

— ამხანაგებო, წუთით შეიცადეთ, — სთქვა მან. პიონერებში თანაგრძნობის ჩურჩულმა გადაირბინა, როცა ხელმძღვანელმა გამოიყვანა სცენაზე პავლიკა და მისი ამხანაგები. უკან მათ ღიმილით მოსდევდა კამო.

— ამხანაგებო! — დაიწყო ხელმძღვანელმა — აი თქვენი ახალი მეგობრები; ისინი აქ მოიყვანა კამომ; მიიღეთ ისინი თქვენს ოჯახში, მეგობრული ალერსით გაათბეთ მათი უბატრონო გულები; მათ არა ჰყავთ მშობლები; ისინი იძულებულნი იყვნენ დაეწყოთ ქუჩა-ქუჩა ხეტიალი და მათხოვრობა; დღეიდან თქვენი კოლექტივი იქნება მათი ოჯახი! თვითეული თქვენგანი იქნება მათი მზრუნველი: შეითვისეთ ისინი, ასწავლეთ მათ და ერთად გასწიეთ იმ ანდერძების აღსასრულებლად, რომელიც თქვენ თქვენმა მოსიყვარულე დიდმა ბელადმა დაგიტოვათ!

— ვაშამ და ტაშის გრიალმა დაჰფარა ხელმძღვანელის სიტყვები. ისინი? ისინი იდგენ და აღტაცებული შესცქეროდნენ ამ ზღვა გულებში დაგროვილი მეგობრული სითბოს გადმოღვრას. უქცერდნენ და მათ გულში იშლებოდა მომავალი ბედნიერი ცხოვრების სხივები.

კ. ლორთქიფანიძე.





ს ა ბ ზ ო ტ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

(სურათი)

მ ო ქ მ ე დ ნ ი:

მეთაური.

- 1.
- 2.
- 3.
- 4. } მოთამაშენი.
- 5.
- 6.
- 7.

მეთაური.

(ფარდის წინ გამოვა, იტყვის)

ახლოთაობა ხელს ვიღებთ მაღლა,
სიამით ვმღერით მომავლის შვებას,
და აქ გაჩვენებთ ჩვენს ზეიმს,—
თუ მზე ვით გვიძღვის წითელ დროშებად!

სმენა!

(ფარდა აიხდება, გვერდზე დადგება. მუსიკა უკრავს მარშს. შეიძინი გამოდის სიმღერით, სახატოდ ჩაუვლიან შეთაურს, ხელში ჰქაჯა-ტუბი უჭირავთ).

ყველა.

ამხანაგებო, წინ, ურჩ სიმღერით,
საპატრუცემლოდ, ხელები მაღლა;
ლამაზ კომუნის ნეტარ სიმთ უღერით
ბრძოლებში ჩვენ არ ვიკოდეთ დაღლა!..
(წრეს უვლიან)

ასე ვზვიამობთ მშრომელთა შვილნი!
ერთი! ორი! წინ!—ვაწყობთ აქ პარადს...
თავისუფლების ყვავილად შლილნი,
მზისკენ ლტოლვაში მზადა ვართ მარად!..

მეთაური. სდექ!

ყველა.

(შესდგებიან, გასწორდებიან)

ჩვენი ღიმილი ნეტარ ცეცხლს ანთებს,—
ო, ჩირადნებით ვიწვევით ზევით;
საქართველოს ვამშვენებთ კალთას
და ფეხქვეშ ვთელავთ სიბნელეს ძღვევით!..

მეთაური. სალაში მარცხნივ!

ყველა. ვაშა!

მეთაური. საქარ

(1-ლი ასწევს დაფას წარწერით: საქარ)

თველოს

(მე-7 ასწევს: თველოს)

გასა

(მე-2 ასწევს: გასა)

ბჭოების

(მე-6 ასწევს: ბჭოების)

მე-6

(მე 3 ასწევს: მე-6)

წელზე

(მე-5 ასწევს: წელზე)

25/II

(მე-4 ასწევს: 25/II)

ყველა. მზადა ვართ მარად!

მეთაური. და...

ყველა. გასაბჭოების მეექვსე წელზე,
დღეს, საქართველო შვებით ნეტარებს;
მზეს სიხარულით ევლება ყელზე
და გამარჯვების მძლავრად რეკს ზარებს...

მეთაური. საყვირი მაღლა!

ყველა. (მარჯვენა ხელს ზევით ასწევენ, ვითამ ბუკი უჭირავთ)

ლუ, ღუ, ღუდ... ასე... ჩვენ ყოველ მხარეს
თებერვლის ოცდახუთთა ვყვივით:
წინეთ თუმც ვმზერდით ჩვენ დღეებს მწარეს,
ეხლა მაშინდებრ აღარა ვჩივით!

მეთაური. პიონერებო!

- 1. უსაზღვრო
- 2. არის
- 3. ჩვენი
- 4. ჰენება,
- 5. თავისუფლების
- 6. ხმით
- 7. აღმართული;

მეთაური. გვიყვარს, ყვავილებს, ვარდის თენება,

ყველა. ო, ამ რწმენით ვთქვათ სიტყვა სიხარულის ..

- 1. და...
- 2. თქვენ
- 3. გილოცავთ
- 4. აქ
- 5. ამ
- 6. დღეს
- 7. დიადს.

ხელს გაიშვერენ

მეთაური. და...

ყველა. ჩვენთან ერთად იხდიდეთ თქვენც ვალს...

1-ლი ნახევარი. სალაში მშრომელ

მე-2 ნახევარი. ხალხის განთიადს,

მეთაური. ვაშა

ყველა. ოცდახუთ ნეტარ თებერვალს!..

1. ჩვენ
2. ის
3. აღარ
4. ვართ,
5. რაც
6. ვიყავთ
7. წინეთ,

ყველა. დღეს ცაც სიამით გვედგმის კამარად;

1-ლი ნახევარი. მშრომელთა მტერი

მე-2 ნახევარი. გვყავს დასაცინად, —

მეთაური. კომუნის ფარად

ყველა მზადა ვართ მარად!..

მეთაური. სმენა!

ყველა. (მოეწევიან გასაუფლად)

გვიყვარს სწავლა და წითლად მნათი მზე,

თებერვლის ოცდახუთით ვანთებთ აღს...
დღეს სიხარულით გიწვევთ ნადიმზე
და ვმდერით ტრფობით ინტერნაციონალს!..
(გალობა — სპატიოდ დგამა)

ჩვენ გვიყვარს წინსვლა წითელ დრო-
შებით, —

მთელს მსოფლიოს ვხვევთ სიამით გარს
შკლავს;


ჩაქუჩს და ნამგალს ვაელოვებთ შვებით
და ხუთქიმიანს ვქედავთ ზედ ვარსკვლავს!..
(აქ შეიძლება ზირამიდას გაკეთება)

ყველა.

დე, ოცდახუთი რიცხვით გაიმას,
რომ თებერვალი ჩვენ შეგვიყვარდა;
ამლხენით ყველგან ვიმაღლებთ ზე ხვას.. —
ვხლა ნახვამდის... დაუშვით ფარდა!..

(ფარდა ეშვება)

ს. ერ — ლი.



რკინის გზის ხიდი, ზაჭვისის საგენერატორო შენობა და განმარტებელი სადგური.



VI. სიღვერის დაღუპვა.

ჯარისკაცები სიმაგრეებს შემოერთებენ და გარეთუბანში დაბანაკდნენ, ნიცკას გზაზე. დაღამდა; ცა, დილიდანვე მოღრუბლული, ახლა უცნაური მოყვითალო ფერისა იყო, როგორც გრიგალის წინ. პლასსანის მოსახლეობა ჯარისკაცებს შიშით და ძრწოლით შეხვდა; სისხლით შეთხუზნულები, დაღლილები და მღუპარენი, ისინი ზოგს ჰგვირდნენ მოედანზე მცხოვრებ ფაქიზ ბურჯუებს; მცხოვრებნი ჩურჩულით ატყობინებდნენ ერთმანეთს საშინელ ამბებს ჯარის მიერ დახვრეტილთა და დაუნდობელი შევიწროების შესახებ, რომელიც ახლაც ახსოვს მთელს ქვეყანას. საშინელი, შემადრწუნებელი ტერორი რამდენიმე თვეს ათრთოლებდა მთელს სამხრეთს.

ნორას ხეობაში ხოცვის შემდეგ ჯარის მობრუნებას საშინელი თავგასულობა და მძვინვარება მოჰყვა: ზოგს დაუნდობლად ჰკლავდნენ ჯოხის ცემით, სხვებს ტყვიით ხოცავდნენ ჟანდარმები სადმე ღელეში და, რომ უფრო დაეშინებიათ მოსახლეობა, გვამებს გზებზე ჰყრიდნენ. ასეთ სისხლიანს კვალს სტოვებდა ჯარი, სადაც კი გაივლიდა; მთელი რიგი მკვლევლობისა—და სხვა არაფერი. თვითეულ შესვენებაზე რამდენიმე აჯანყებულს უსპობდნენ სიცოცხლეს.

ბოლოს ჯარისკაცები დაილაღნენ ხოცვით; არავის უნდოდა ამ საშინელი მოვალეობის ასრულება.

ტყვეები წყვილ-წყვილად იყვნენ გადაბმულები თოკით, კუნძებზე იწვნენ, ყურს უგდებდნენ და გაშეშებულნი ელოდნენ განაჩენს.

სწორედ ამ დროს ცნობისმოყვარეთა გროვა უხეშად გაარღვია ჟანდარმმა რანგადმა.

როგორც გააგო მან ჯარის მოსვლა და ისიც, რომ რამდენიმე ასეული ტყვე აჯანყებული მოეყვანათ, ადგა საწოლიდან, მიუხედავად ჭრილობისა და დეკემბრის ცივი ქარისა. საშინელი შესახედავი იყო იგი, როცა გააფთრებული, სისხლიანი სახევეით, თვითეულ ტყვეს აკვირდებოდა.

ასე ჩამოუარა მან კუნძებს, ხან დაიხრებოდა კარგად გასასინჯად ხან უკან შებრუნდებოდა და თვისი უცაბედი გამოჩენით გულადებსაც კი ჟრუანტელსა ჰგვირდა.

უცბად მან დაიყვირა:
—აა.. ყაჩაღო... ჩამივარდი ხელში?—და სიღვერს სტაცა მხარში ხელი.

სიღვერი კუნძზე იჯდა გაშტერებული, სივრცეს მისჩგრებოდა მტვერში მოსვრილი, მწყურვალი და უზომოდ დაღლილი. ის უსიტყვოდ მოდიოდა, საქონელივით, რომელიც მწყემსის კომბალს ემორჩილება.

ის მიეტახე ფიქრობდა; ხედავდა მას, ხეებ ქვეშ მწოლარეს გაღებულ თვალეზით, გაშლილ დროშაზე. რანგადმა მიმართა ოფიცერს, რომელსაც ჯარისკაცებში ვერ გამოენახა ვერც ერთი საჯალათოდ.

— ამ არმზადამ გამომთხარა თვალი, —უთხრა მან და სიღვერზე მიუთითა. — მომეცით ეგ მე... თქვენთვის ხომ სულერთია.

ოფიცერმა არა უპასუხა რა, გულგრილად მოშორდა, თან რაღაც ნიშანი მისცა. ჟანდარმი მიხვდა, რომ სიღვერი მას მისცეს.



— აბა, ადექი! — დასძახა მან სილვერს და შე-
ანჯღრია.

სილვერს, როგორც ყველას, ამხანაგი ჰყავდა
გამობმული მკლავზე, პუჟოელი გლეხი, სახელად
მურგ, ასე, 50 წლის კაცი, მზისგან და ხენა-
თესვიდან დამწვარ-დატანჯული. იგი ფიწლით შე-
იარაღებული გამოვიდა და აჯანყებულებს შეუერთ-
და, რადგანაც მთელი სოფელი აჯანყდა, მაგრამ
გარკვევით არ იცოდა, რამ აიძულა გამოსული-
ყო; ტყვეობაში უფრო ნაკლებ ერკვეოდა იგი ყვე-
ლა ამაში.

მას ეგონა, რომ შინ მიჰყავდათ. ბორკილებმა
და მაყურებელთა ცნობისმოყვარეობამ ხომ საბო-
ლოოდ აურია გონება და მცირე მოსაზრებაც გაუ-
ქრო. რადგანაც მან მხოლოდ თავის კილოზე იცო-
და ლაპარაკი, ვერც კი მიხვდა, რა უნდოდა მის-
გან ჟანდარმს, რომელმაც სილვერთან ერთად ისიც
აითრია; მან მიიბრუნა თავი ჯანდარმისკენ და ეგო-
ნა რა, რომ მას ვინაობას ეკითხებიან, მკვახე ხმით
უპასუხა:

— მე პუჟოელი ვარ.

ბრბოში სიცილი გაისმა, მოისმა ხმები:

— გაუშვით. . გაათავისუფლეთ.

— აი, კიდე! — უპასუხა რანგადმა — რაც უფრო
მეტს დახოცავ ამათ, მით უკეთესია. ორივე წამო-
ვიდენ, ერთად გადაბმულები არიან.

ხალხში ყაყანი ასტყდა.

ერთმა ბიჭმა იცნო სილვერი და გამოელაპარა-
კა წითელსამოსიან ქალზე.

სილვერი ვერაფერს ხედავდა და არც არაფერი
ეყურებოდა.

რანგადმა საყელოში ჩაავლო ხელი; მაშინ ის
წამოდგა და მურგიც აითრია.

— წამოდით, — უახრა ჟანდარმმა — მალე გავა-
თავებთ... .

სილვერმა იცნო რანგადი, გაიღიმა თითქოს
მიხვდა ყველაფერს და მიბრუნდა. რანგადის დანა-
ხვამ, მის უღვაშებზე შემხმარმა სისხლმა ღრმად
დაამწუხრა ის და ამიტომ სახეს არიდებდა რანგა-
დის ერთადერთ თვალს, რომელიც თეთრი სახვევის
ქვეშ ბრწყინავდა.

ახალგაზდა თვითონ გაემართა ფიცრების კარვე-
ბით დაფარული მიტრის მოედნის ვიწრო ხეივანისკენ.
მურგიც უკან მისდევდა.

მოედანს ნაღვლიანი ელფერი ჰქონდა; არასო-
დეს ასე ნაღვლიანი და სევდის მომგვრელი არ ყო-
ფილა ეს ტიტველი მინდორი. ხე-ტყის ეზო — ფიცრე-

ბით საესე. შევიდენ, თუ არა, ყველაფერი მოეფარა
თვალს — ჯარისკაცებიც, ბრბოც.

არცერთი ცოცხალი არსება გარშემო. ვიდრე
ხეივანს მიუახლოვდებოდენ, სილვერმაც გარშემო
მიმოიხედა. მოაგონდა დიდი ხნის წარსული კვირა-
დღე, როცა აქ გაივლიდა ხოლმე მთვარის კაშკაშა
სინათლებზე.



გვამებს გზებზე ჰყრიდენ.

მკრთალი სხივები წყნარად ანათებდა გორებს.
შემდეგ სილვერს მოაგონდა, რომ ის კვირადღე
სულ ერთი კვირის წინ იყო. მხოლოდ ერთი კვი-
რა გავიდა იმის შემდეგ, როცა აქ მოვიდა მიეტას-
თან გამოსამშვიდობებლად. ახლა კი ჰგონია, თით-
ქოს წლები გასულიყოს, თითქოს რამდენიმე წელი
არ ყოფილიყოს ის აქ.

როცა ვიწრო გასავალში შედიოდა, გული
შეეკუმშა: იცნო ბალახის სუნი, ფიცრების ჩრდი-
ლი, კედელი.

მწუხარება გადაჰფენოდა ყველაფერს. გასავა-
ლიც მწუხარე იყო. განმარტოებული და გრძელიც
მოეჩვენა, ცივი ქარი სტვენდა შიგ. რა ძლიერ მო-
ხუცებულია ეს კუთხე! დაინახა ხავსისგან მოქპული
კედელი, ბალახის ხალიჩა — ყინვისგან გადამწვარი,
ფიცრების გროვა, წვიმისგან დამპალი. ყვითელი
ბინდი ტალახით გადაჰკროდა მის საყვარელ საგ-
ნებს. თვალები რომ დახუჭა, გასავალი ისევ ამწვა-
ნებული წარმოუდგა, ისევ დაბრუნდა ბედნიერების
ღრო. მოთბა თუ არა, ცხელ დღეებში ის მიეტას-
თან ერთად დარბოდა აქ. შემდეგ — დეკემბრის წვი-
მები, უწყვეტი, ჟანიანი; მაინც მოდიოდნენ აქ, იმა-
ლებოდნენ ფიცრებში, აღტაცებით უსმენდენ საში-
ნელი ნიაღვრის ხმაურს. ელვასავით გაურბინა სილ-
ვერს თვალებში მთელმა მისმა ცხოვრებამ, მთელ-
მა მისმა ბედნიერებამ. აი, მიეტა შეხტა კედელზე
და მიბრბის მისკენ წკრიალა სიცილით.



ის აქ არის, უამბობს კაჭკაჭების ბუდეებზე; რა ძნელია მათი ბუდის ჩამოშლა. შორიდან ესმის ნაზი ჩხრიალი ვიორნასი, ქარის შრიალი სენტ-კლერის ალვის ხეებში.

როგორ მირბოდენ მაშინ! კარგად ახსოვს სილვერს. რა კარგი გოგონა იყო! მოეჩვენა, თითქოს ეყურება ფანჯრების დარაბების ხმაური, საათის რეკა. როცა განშორების დრო მოახლოვდებოდა, მიეტა ისევ კედელზე აღიოდა და შემდეგ გაქრებოდა.

საშინელმა ღელვამ ყელი შეუხუთა: ველარ ნახავს მიეტას, ველარ.



ჩამივარდი ხელში?

— აბა, — დაიყვირა რანგადმა, — შენ თვითონ ამოიჩიე ადვილი.

სილვერმა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მიუახლოვდა გასავლის ბოლოს. იგი მხოლოდ ცის ნაწილს ხედავდა, სადაც სადამოს რიჭრაქის უკანასკნელი მოწითალო სინათლე ქრებოდა.

იქ ის ორი წელი იყო ბედნიერი.

სიკვდილის ნელმა მოახლოვებამ ამ ბალიკზე, რომელზედაც ასე დიდხანს უცემდა გული, ტკბილი გრძნობა გამოიწვია მასში; ამიტომ ნაბიჯს ანელებდა, ტკბებოდა, ყველაფერს ეთხოვებოდა, რაც ასე ძლიერ უყვარდა: ბალახებს, გორებს, ძველი კედლის ქვებს.

ყველა ამ საგნებს მიეტა უღვამდა სულს.

ისევ აერია აზრები.

ოჰ, ნეტავ შესძლებოდათ და სადმე შორს წასულიყვნენ, ძლიერ შორს, სადმე უცხო სოფელში, სადაც უბნის ბიჭები ვერ უსაყვედურებდნენ შანტაგრელს მისი მამის ბოროტმოქმედებას.

რა ბედნიერება იქნებოდა! ის სამკედლოს მოაწყობდა გზის პირად.

მას ვერ გაეგო ახლა, რატომ ვერ განახორციელა ყველა ეს, რატომ არ წაიყვანა მიეტა და ძალუა დილა.

ვიდრე ის თავის ხსოვნას ძალას ატანდა, სროლის მკვეთრი ხმა მოისმა; დაინახა, როგორ ეცემა მას წინ ტარგადამტვრეული დროშა, ფრთამომტვრეული ფრინველივით.

ეს რესპუბლიკაა, წითელი დროშის ნაოჭებში რომ წევს მიეტასთან.

ვაგლახ! ვაგლახ! ორივენი მოკვდნენ. ორივეს მკერდში აქვს ქრილობა, და აი ორივეს გვაში, ამ ორი მისი საყვარელი და ძვირფასი არსებისა!

ახლა მას აღარაფერი გააჩნია ქვეყანაზე და უნდა მოკვდეს.

ამ აზრმა სენტ-რურიდან დაწყებული ის ასეთ მშვიდად და მორჩილად აქცია; სცემდნენ და ვერა გრძნობდა. სული მისი მოშორდა სხეულს და დარჩა იქ, ხეებ ქვეშ, წამლის მწვავე სუნის მიდამოში, ძვირფას მიცვალებულებთან თავდახრილი.

რანგალი მოთმინებს ჰკარგავდა; უკანიდან ხელსა ჰკრავდა მურგს, რომელიც ძლივს მიათრევდა ფეხებს.

— წადით, რაღა! — დაუყვირა მათ, — თქვენთან ხომ არ უნდა დავიძინო აქ!

სილვერმა წაიბოძო და ფეხებში დაიხედა: ბალახებზე თავის ქალას ნატეხი ეგდო; მოეჩვენა, თითქოს ვიწრო გასავალი ხმაურობამ გაავსო. მიცვლებულნი, ძველი მიცვალებულნი! ეყურებოდა სილვერს მათი ჩურჩული.

— აქა თუ...? ჰკითხა რანგადმა. სილვერმა წინ გაიხედა; გასავლის ბოლოს მისულიყო; საფლავის ქვა შეამჩნია და შეაქყოლა; დაღლილი ცივ ქვას დაეყრდნო; მაგრამ რა თბილი იყო ქვა, როცა აქ ისინი ლაზღანდარობდნენ, მასზე რომ ისხდნენ.

მიეტა, აი, იქიდან მოდიოდა, ქვის ქიმი მოცვათა მისმა ფეხებმა, კედლიდან რომ ჩამოდიოდა ხოლმე და ამ კვალში მიეტას ნაწილი დარჩა.

რანგადმა დამბახები გატენა.

მურგმა ეს დაინახა. აქამდის გაშტერებული იყო ის და უტყვად მოსდევდა, ახლა კი საშინელებამ მოაცვა და უაზროდ იმეორებდა:

— პუყოელი ვარ, პუყოელი!

ის დაეცა მიწაზე, უანდარმს ფეხებში უგორდებოდა, ემუდარებოდა პატიებას, ეგონა რა, იგი ვერ იცნეს, სხვა ეგონათ.

— ჩემი რა საქმეა, რომ პუყოელი ხარ? — ბუტბუტებდა რანგადი.

მაგრამ უბედურს შიშისგან კბილები უცახცახებდა, არ იცოდა, რათა ჰკლავდნენ. იგი თავის

უხეშ, მკუთარობისგან დაკოჭრებულ ხელებს შლიდა და თავის კილოზე ამბობდა, რომ მას არაფერი არ ჩაუდენია, პატიების ღირსია; რანგადი კი ბრაზობდა, რომ დამბაჩის ლულა ვერ მიედო საფეთქელზე, ისე ეხეთქებოდა აქეთ-იქით გლეხი.

-- დაჩუმდები, თუ არა?

მაშინ მურგმა, სიკვდილის შიშით გაგიჟებულმა, დაიწყა ღრიალი.

— გაჩუმდები თუ არა, შე არამზადავ!— გაიმეორა ჟანდარმმა და გაუხეთქა თავი. გლეხი მძიმედ დაეცა. მისი გეჟი ფიკრების გროვისკენ გაგორდა და გაჩერდა. მისმა დაცემის ძალამ თოკი გაწყვიტა და სიღვერმა დაიხოქა საფლავის ქვასთან.

რანგადმა განგებ ჯერ მურგი მოჰკლა; ამით უნდოდა გაემძლიერებია შურისძიება; წყნარად ათამაშებდა მეორე დამბაჩას, ნელ-ნელა უმიზნებდა სიღვერს და მისი ავანიით ტკებოდა.

სიღვერი წყნარად შეპყურებდა, ეშინოდა სიკვდილის წინ სიმბდალე არ გამოეჩინა, ამ სისხლით მოსვრილი ჟანდარმის შემყურეს.

როცა თავი ასწია, დაინახა ჟიუსტინი, რომელიც კედლის მეორე მხარეს იყო მომდგარი, სწორედ იმ ადგილას, საიდანაც მიეტა ჩამოხტებოდა ხოლმე.

ჟიუსტინი ბრბოს შორის იყო, რომის ალაყაფის კარებთან, როცა რანგადმა ორი ტყვე წამოიყვანა. ჟიუსტინი გამოიქცა, რაც ძალი ჰქონდა, შეპოურბინა ყას-მეიფრენს, არ უნდოდა რა ასცდენოდა ამ სისხლიან სანახაობას. რომ მთელ გარეთუბანში მხოლოდ ის ნახავდა თავისი საკუთარი თვალით ამ დრამას, ის ისე ჩქარა მობრბოდა, რომ ორჯერ გაიშხლართა გზაზე. მიუხედავად ასეთი სიჩქარისა,

პირველ გასროლას მაინც ვერ მიუსწრო. იმედწართმეული კედელზე ახობდა. დაინახა რა, რომ სიღვერი ჯერ ცოცხალია, გაიღიმა. ჯარისკაცებმა უამბეს ბიძაშვილის სიკვდილი; სიღვერის მოკვლას ის ალტაცებაში მოჰყავდა.



გავარდა დამბაჩა.

იცნო რა ჟიუსტინი, სიღვერი საშინლად აღელვდა, იგრძნო სიცოცხლის სიტკბო. ეს უკანასკნელი ატაცება იყო სისხლისა.

იგი ისევ დაეცა მუხლებზე და თვალები სივრცეს მიაპყრო.

ამავე წამში საფეთქელზე იგრძნო დამბაჩის ლულა. ჟიუსტინი იცინოდა. სიღვერმა თვალები დახუჭა. სიბნელეში იგი მხოლოდ მიეტას ხედავდა ხეების ქვეშ, დროშადაფარებულს, ღიათვალებიანს.

გავარდა დამბაჩა და ყველაფერი გათავდა...

ახლოგაზრდის თავის ქალა მოწვეულ ბროწეულივით გაიპო და ქვაზე დაეცა.

ე. ზოლა.





წითელი არმია და მისი მნიშვნელობა.

სულ 9 წელია, რაც არსებობს ოქტომბრის რევოლუციის სახელოვანი გუშაგი—წითელი არმია. 9 წლის წინათ ჩაეყარა მის საფუძველი. საბჭოთა კავშირის მუშებმა და ღარიბმა გლეხებმა შესძლეს თავისი საკუთარი ძალებით გამკლავებოდნენ ბურჟუაზიის, მემამულეების და მეფის ყველა დამქაშების გააფთრებულ შემოტევას. რევოლუციონერმა მუშებმა და ღარიბმა გლეხობამ შექმნეს მათი ინტერესებისათვის მებრძოლი შეიარაღებული ძალა—წითელი არმია, რომლის საშუალებით გაანადგურეს მუშათა კლასის ყველა მტერი. 23 თებერვალს სრულდება 9 წლის მისი არსებობის და ყველა ჩვენთაგანი ვალდებულია იცოდეს, რისთვის და რა პირობებში წარმოიშვა წითელი არმია, როგორ განვითარდა ის, რა ბრძოლები გადაიტანა და რა შედეგს მის მიზანს.

რისთვის და რა პირობებში წარმოიშვა წითელი არმია.

მუშათა კლასს თავისი ბელადები ასწავლიდნენ, რომ „მუშათა კლასის განთავისუფლება თვით მუშების საქმეა“. მუშათა კლასმა თვითონვე უნდა იზრუნოს ბურჟუაზიის ბატონობისგან თავის განსათავისუფლებლად. ბურჟუაზიას, რომელიც ასი წლობით ბატონობდა და ბატონობს მუშათა კლასზე, არასდროს ფიქრად არ მოსვლია და არც მოუფა ვაათავისუფლოს მუშები თავისი ბატონობისგან, უბრძოლველად დაუთმოს მათ ხელისუფლება. ბურჟუაზია ყოველთვის და ყოველგან აწარმოებდა და აწარმოებს სასტიკ ბრძოლას მუშათა კლასის წინააღმდეგ. სისხლის მორევში ახშობდა ის მუშათა კლასის განთავისუფლებელი მოძრაობის იდეებს. ასე იყო წინათ და ასე იქნება მანამ, სანამ იარსებებს ბურჟუაზიული წყობილება, ვინაიდან ბურჟუაზიას არ უნდა დაკარგოს თავისი ბატონობა, ის ცხოვრობს მუშების ოფლით, ის ითვისებს მუშების ნაშრომს, ცხოვრობს ფუფუნებაში და განცხრომაში და მას უნდა ასეთი მდგომარეობა ჰქონდეს ყოველთვის, უნდა მშრომელი ხალხი ამყოფოს მუდმივ ტანჯვა-წვალებაში. რა უნდა ჰქნას მუშათა კლასმა, რომ თავი დაახწიოს უბედურებას? ვის უნდა მიმართოს, ვის უნდა დაეყრდნოს ის? — მან უნდა მიმართოს თავის თავს, ის უნდა დაეყრდნოს თავის ძალას. როგორ უნდა გაითავისუფლოს თავი? — ის უნდა აჯანყდეს ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მან ძალით უნდა

დაამსხვრიოს მზავრელების ბატონობა, მან არ უნდა დაინდოს ბურჟუაზია, ისე, როგორც მას ან ინდობს ბურჟუაზია, ცეცხლითა და მახვილით უნდა გაანადგუროს თავისი მტრები—სხვა გზა ბურჟუაზიის ბატონობის დროს მუშათა კლასს არ აქვს. ბევრი მავალითა ისტორიაში იმისა, როდესაც მუშათა კლასი თავისი შეიარაღებული ძალის გარეშე ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში მარცხდებოდა. მუშათა კლასმა შეიგნო, რომ მხოლოდ ძალით შეიძლება დამსხვრევა ბურჟუაზიული წყობილების, რომ ბურჟუაზიის ძალას უნდა დაუპირდაპიროს თავისი ძალა, რაც კიდევაც შესაძლებელია ოქტომბრის რევოლუციის დროს.

თებერვლის რევოლუცია და ბურჟუაზია.

1917 წლის 27 თებერვალს (ძველი სტილით) დაამხეს მეფის მთავრობა: მოხდა თებერვლის რევოლუცია. ამ რევოლუციის დროს ხელისუფლების სათავეში მოექცა ისევ ბურჟუაზია — კერენსკის მეთაურობით. კერენსკის მთავრობამ, რომელიც მუშათა კლასის სასარგებლოდ არაფერს არ აკეთებდა, განაგრძო ომი. ამავე დროს მუშებმა მთელ ქალაქებში: პეტროგრადში (ახლანდელი ლენინგრადი), მოსკოვში, ხარკოვში, ტულაში, ოდესაში და სხვაგან — შექმნეს თავისი რაზმები, რომელსაც წითელ გვარდიას უწოდებდნენ. მეფის მთავრობის მიერ დაწყებულ მტაცებლურ ომს ბურჟუაზიული მთავრობა განაგრძობდა. მუშათა კლასის მტრები კიდევ ერეკებოდნენ მუშებს ომის სასაკლაოზე. მაგრამ მუშებში მღელვარება თანდათან ძლიერდებოდა, ჯარისკაცებმა ფრონტზე უარი განაცხადეს ბურჟუაზიის სასარგებლოდ ბრძოლაზე, ამავე დროს შიმშილი თანდათან ძლიერდებოდა. 1917 წლის 25 ოქტომბერს (ძველი სტილით) ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით პეტროგრადში აჯანყება მოხდა. წითელი გვარდიის მეოხებით პეტროგრადის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭომ ჩაიგდო ხელში ძალა უფლება. აქედან იწყება ოქტომბრის რევოლუცია. ოქტომბრის რევოლუციამ თავისუფლება მიანიჭა მუშათა კლასსა და ღარიბ გლეხებს. შეიქმნა ნამდვილი მუშური მთავრობა, საბჭოთა ხელისუფლება. ამას ვერ შეუერიდნენ მუშათა კლასის მტრები და იწყეს ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლა. წითელი გვარდია აწარმოებს სასტიკ ბრძოლას მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ. მაგრამ ბრძოლა უფრო და უფრო მწვავედება, რუსეთის ბურჟუაზიის ეხმარებიან

სხვა ქვეყნების ბურჟუებიც. მაშინ კი საჭირო შეიქნა ძლიერი შეიარაღებული ძალის შექმნა. ბოლშევიკურმა პარტიამ გადასწყვიტა შეექმნა მუშურ-გლეხური წითელი არმია, რომელიც დაამსხვრევდა რუსეთის და სხვა ქვეყნებიდან შემოსულ კონტრევოლუციას. 1918 წლის 23 თებერვალს გამოქვეყნებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — სახალხო კომისართა საბჭოს — დეკრეტი წითელი არმიის შექმნის შესახებ. აქედან იწყება წითელი არმიის ჩამოყალიბება.

წითელი არმია ამარცხებს მუშათა კლასის მტრებს

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით წითელი არმია აწარმოებს ბრძოლას კონტრევოლუციის წინააღმდეგ, ამარცხებს შავრაზმელ გენერლებს, როგორც იყვნენ: დენიკინი, კოლჩაკი, ვრანგელი, კალედინი და სხვები. სამი წლის განმავლობაში წარმოებდა რუსეთში სამოქალაქო ომი; წითელი არმია გამირულად იბრძოდა და სასტიკად ამარცხებდა თავის მოწინააღმდეგეებს. ბევრი მუშის და გლეხის შვილი დაიღუპა ამ ბრძოლებში, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ წითელი არმიის საშუალებით ბრწყინვალედ გაიმარჯვა, რუსეთში განადგურებულ იქნა კონტრევოლუცია და მუშათა კლასმა ხელი მიჰყო მშვიდობიან აღმშენებლობას.


წითელი არმია ათავისუფლებს საქართველოს მშრომელებს.

როდესაც რუსეთში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, ამ დროს საქართველოში მენშევიკები გამეფდნენ. იმათ გამოაცხადეს თავისი თავი მთავრობად და დაიწყეს ბურჟუაზიის საქმეების კეთება. საქართველოს მშრომელები განიცდიდნენ ტანჯვას მენშევიკური მთავრობიდან, ისინი აწყობდნენ აჯანყებას, მენშევიკები კი უმასპინძლდებოდნენ მათ ცეცხლითა და მახვილით. მენშევიკებმა გადასწვს ბევრი სოფელი, ბევრი მშრომელი დახვრიტეს და ბევრი გადაასახლეს. საქართველოს მშრომელთა მოთმინების ფილა აივსო, იმათ 1921 წლის თებერვალში წითელი არმიის დახმარებით თავი გაითავისუფლეს მენშევიკების ბატონობისგან, დაამსხვრიეს თავადების და აზნაურების ციხე-სიმაგრენი, დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება და საქართველოს მშრომელებმა შეადგინეს თავისი წითელი ჯარი, რომელიც საკავშირო წითელი არმიის ნაწილს შეადგენს.

წითელი არმია სკოლაა კომუნიზმის.

წითელი არმია არამტყუ მარტო სამხედრო ფორტებზე იბრძვის, არამედ ის უდიდეს როლს ასრულებს აღმშენებლობით მუშაობაში: მონაწილეობას იღებს ჩვენი მეურნეობის განვითარებაში, ეხმარება გლეხებს გზების, სარწყავი არხების გაყვანაში და სხვა. გარდა ამისა, წითელარმიელები წითელ

წითელი ლაშქრის ხელმძღვანელი




მხ. კ. ვოროშილოვი — სამხედრო რევოლუციონერი საბჭოს თავმჯდომარე და სამხედრო-სახალხო სახალხო კომისარი.

ყაზარმებში სწავლობენ, ვითარდებიან. ჩვენი წითელი ყაზარმები არ ჰგავს მეფის დროის ყაზარმებს. წითელ ყაზარმებში არის მოწყობილი კლუბები, ლენინის კუთხეები, სხვადასხვა წრეები, სამკითხველოები და სხვა. ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ ბევრი ახალგაზდაა, რომლებმაც წერა-კითხვა არ იციან წითელ არმიაში შესვლისას, აქ კი სწავლობენ წერა-კითხვას, ვითარდებიან, სწავლობენ, თუ როგორ უნდა გავაუმჯობესოთ ჩვენი მეურნეობა, ჩვენი ცხოვრება და როდესაც ბრუნდებიან შინ, კულტურულ მუშაობას აწარმოებენ, ეხმარებიან და ხელს უწყობენ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას.

გავაძლიეროთ წითელი არმია.

მაშასადამე, წითელ არმიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასისთვის, საბჭოთა ხელისუფლებისთვის. ის საბჭოთა კავშირის მშრომელებს იცავს გარეშე და შინაური მტრების თავდასხმებისგან, ამასთანავე აწარმოებს კულტურულ მუშაობას მშრომელთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი მტერი გვყავს, რომელნიც გვითვალთვალენ და საბაბს ეძებენ, რომ თავს დაგვესხან. სამაგიეროდ ჩვენ უნდა გავაძლიეროთ წითელი არმია. ვეცადოთ, ყველანი გაჭნდეთ მისი წევრები, გავაცნოთ მშრომელ ხალხს მისი მნიშვნელობა, შევამქიდროთ რიგები და მტკიცედ ვიდგეთ ოქტომბრის რევოლუციის საგულგოზზე.

ტანი.



პიონერი და ბრძოლა ახალი სოფლისათვის.

(დასასრული).

მუშაობა შინ და სკოლაში.

პიონერმა კოლექტივში მიღებული ცნობები უნდა გამოიყენოს არა მარტო კოლექტივის ბოსტანში, მან ეს ცოდნა უნდა გადაიტანოს თავის ოჯახში, კოლექტივის და სკოლის გამოცდილების ნიადაგზე. ამისათვის პიონერებმა მშობლებთან მოლაპარაკებით უნდა მიიღონ მათგან ბოსტანში ცალკე პიონერ-კვანძები, უნდა ამოარჩიონ კარგი მიწა, კარგად დაამუშაონ ის, იშოვნონ კარგი თესლი, ხშირად უნდა შეეკითხონ მკოდნე პირებს. ფართო ასპარეზი აქვს პიონერ მუშაობას არა მარტო მებოსტნეობის, აგრეთვე მესაქონლეობის და მეფრინველეობის დარგშიც.

მაგ. რძის მესაქონლეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ძროხის რძის აღნუსხვა-გამოანგარიშებას. სოფლის პიონერი თვეში 1-2-ჯერ წლის განმავლობაში ასწონის მოწველილ რძეს თითო ძროხისას დილას, შუადღისას და საღამოს და ჩასწერს ცალკე წიგნაკში. აგრეთვე საჭიროა აღნუსხვა ძროხის საკვების, რომელიც უნდა მიეცეს წონით. საკვები უნდა მიეცეს ნორმით—რის შესახებ უნდა შეეკითხოს აგრონომს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს რძის მეურნეობისათვის ახალგაზრდა საქონლის აღზრდას და, საერთოდ, საქონლის სისუფთავეს. ახალგაზრდა საქონელს, მაგ. სჭირდება თბილი და მშრალი თავლა, ყოველდღე წმენდა, საქმელის მიცემა ნორმით.

რამდენის გაკეთება შეუძლია პიონერს ამ დარგში, რა დიდი გასაქანი აქვს მის მუშაობას!

პიონერის ამოცანა ზამთარში მესაქონლეობის დარგში:


1. გამოიკვლიე, მთელია თუ არა ფანჯარა თავლაში, თუ უზერავს, ნახვრეტები ამოავსე თიხით ან სილა-კირით.
2. ქვეშ საფარავი ხშირად უცვალე და სწმინდე თავლა-ბაგე.
3. ხშირად გასუფთავე თავლა.
4. ხშირად სწმინდე საქმელის და სასმელის ქურჭელი, რომ არ დარჩეს ტალახი.
5. მოუარე მაკე ძროხას, ნუ მისცემ ცუდ საკვებს, ცივ წყალს, ნუ არბენინებ და ნუ სცემ.
6. წმინდე ძროხა ჩაღის კონით.
7. გასწმინდე, გაბანე ყოველდღე ხბო.
8. თუ ხბოს ინახავთ ოთახში, უფრო ხშირად გაუწმინდე და დაუგე ქვეშ ახალი,

9. მიაჩვე ხბო პირველი დღიდანვე რძე სვას პირდაპირ თანაქიდან (ვედროდან).
10. კარგ ამინდში ხბო გამოუშვი სახლის ახლოს გარეთ.
11. გასუფთავე ბინა, რომელშიაც იმყოფება ღორი.
12. ყოველდღე გასწმინდე ბინა, რომელშიაც იმყოფება გოქი.
13. სწმინდე ღორი.
14. საქმელი მიეცი განსაზღვრულ საათებში და ნორმით.
15. ნუ მისცემ გაფუჭებულ საკვებს.

პიონერი უნდა შეიქმნეს ორგანიზატორი შემოსავლიანი მეფრინველეობის. შინაურ ფრინველებში ყველაზე უფრო გავრცელებული არის ქათამი, რომელსაც ყველა უკიდურეს ღარიბ ოჯახშიაც დაინახავთ, მაგრამ ამ ფრინველს ყურადღება არ ექცევა. ამიტომ არის, რომ ჩვენი ქათამები იძლევიან ძლიერ ცოტა და ისიც პაწია კვერცხებს, ცოტა ხორცს, და ისე ხშირად იხოცებიან სხვადასხვა ავადმყოფობით. ამავე დროს ამ ფრინველის მოშენებას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. თუ ამ დარგში პიონერები რაიმე თაოსნობას გამოიჩინენ, ამას გლეხობა აუცილებლად დიდი სიხარულით შეხვდება. ცხადია, აქ საჭიროა მკოდნე პირების შეკითხვა, საამისო წიგნების წაკითხვა. ამ საქმეში საჭიროა გამოიკვეს და მოგვარდეს საქათმეს მოწყობის საკითხი, მისი მოცულობის, ფორმის, სისუფთავესი. შემდეგ ქათამების ნორმით კვების საკითხი, ქათამების შემოსავლიანობის გამორკვევა; შემდეგ ჯიშის გაუმჯობესება. ამისათვის საჭიროა თითო კვერცხის აწონა, ჩაწერა რვეულში, თუ რომელი ქათამის მიერ არის დადებული, რათა შემდეგში ამორჩეულ იქნას უკეთესი კვერცხები დედლისათვის, რომ უკეთესი წიწილები გამოვიდეს.

როდესაც პიონერები ქათამების მოშენების საკითხს ცოტად თუ ბევრად მოაგვარებენ ოჯახში, მაშინ საჭირო შეიქნება, რომ კოლექტივმა ხელი მოჰკიდოს პაწია საფრინველო მეურნეობას, რომლისათვის გლეხები შემოდგომისას მისცემენ რამოდენიმე ახალგაზრდა ქათამს, დაეხმარება აგრეთვე სკოლაც და კოოპერატივიც, ხელს შეუწყობენ აგრეთვე პიონერებს დედა-დები და კომკავშირელი ოჯახის ქალები, საჭიროა, რომ აღნუსხულ იქნეს პიონერების

ქართული
საბჭოთაო



მიღწევა კოლექტივის მუშაობის მხრივ (პიონერ-ბოსტანი, ბახჩები, გოჭები, ქათმები) და ცალკე პიონერების მხრითაც. ამისათვის საჭიროა მოეწყოს გამოფენები—ან მოსავლის დღეს საერთო გამოფენაში, ცალკე კუთხის მოწყობით, ან ცალკე პიონერ-გამოფენის მოწყობა, სადაც ნაჩვენები იქნება მიღწევა პიონერების, გაკეთებული იქნება მოხსენებები თვით პიონერების მიერ, თუ როგორ და რა გზით მიაღწიეს ამა თუ იმ შედეგს. ცხადია, ამ გამოფენას უნდა დაესწრონ უფროსი გლეხები და არაპიონერი ბავშვები. გამოფენის შემდეგ აგრონომის შემწევობით შედგენილი უნდა იქნეს მომავალი მუშაობის გეგმა განვილილი მიღწევა-შეცდომების აღწერის ნიადაგზე.

სასოფლო მეურნეობის მტრები და ბრძოლა მათთან.

გამოანგარიშებულია, რომ ყოველწლიურად სხვადასხვა მანერა მწერებს ყანებ-ბაღბოსტნებში მოაქვთ ზარალი მთელი საქავეში. მეურნეობისათვის 1,280 მილიონი მანეთისა. ამავე დროს ერთ წყვილ დიდ შოშის შეუძლია გადაარჩინოს წლიურად 50 მანეთის ხილი. ევროპის ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა ფრინველთა დაცვას. იქ არსებობს განსაკუთრებული ბავშთა ორგანიზაციები ფრინველთა დასაცავად. ფრინველები აღამიანის მეგობარნი არიან, მათ შეუძლიათ ჩვენ მეურნეობას დიდი სარგებლობა მოუტანონ. მაგრამ ჩვენი შეუგნებლობით უფროსი მოსახლეობა, ბავშვები, ხშირად თვით პიონერებიც, არბევენ, ანადგურებენ ფრინველთა ბუდეებს, ჰკლავენ მათ ცელქობის გულისთვის. ამავე დროს ტყეების გაჭრა ამცირებს ფრინველთა რიცხვს, აღიდებს მავნეთა რიცხვს. ამის წინააღმდეგ პიონერებმა უნდა აწარმოონ დაუძინებელი, დაუზოგველი და სისტემატიური ბრძოლა. თვითეული კოლექტივი უნდა გახდეს მეგობარი, შეფი „მფრინავთა არმიის“, ჩაბას, დაინტერესოს ფრინველთა დაცვის საქმეში არაადარაზმული ბავშვებიც, სკოლაც და თვით უფროსი მოსახლეობაც. პირველ რიგში საჭიროა თვითეული ფრინველის **სარგებლობის გამოკვლევა** ამა თუ იმ რაიონის ყანების, ბაღ-ბოსტნებისათვის, ვინაიდან სხვადასხვა რაიონს სხვადასხვა ფრინველი სჭირდება. მაგ. სადაც განვითარებულია მებოსტნეობა, იქ სჭირდება და სსარგებლოა შოშია, რომელიც სპობს ბოსტნების მანერებს, სადაც ხილეულობაა (ბაღი, ალუბალი და სხვა) იქ საჭიროა ჰინჭრაქა, რომელიც ხელს არ ახლებს ხილს, სჭამს ხეების მანერებს, ხოლო შოშია კი ხილს შეექცევა. ამიტომ მისი-მიმხრობა იქ საშიშია. საჭიროა იმ ფრინველს, რომელიც ზამთრობით აქ რჩება, გაჭირვებას განიცდის კვების მხრივ, დავებმართო ზამთარში, შევავროვოთ შემოდგომით გამხმარი ანწლი, ქიან-ქველას კვერცხები, კანაფი, პურის ნამცეცები. ზამ-

თარში უნდა მოეწყოს ამ ფრინველებს „სუფთაობა“, დაპატიება.

ვახაფხულზე პიონერებმა სსარგებლო ფრინველებს უნდა მოუწყონ ხელოვნური პაწია სახლები, რომ უფრო მიიჩვიონ და დაეხმარონ ამ ფრინველებს, გასწიონ ხალხში სააგიტაციო მუშაობა ფრინველების მნიშვნელობის შესახებ, გააკრან გზებზე დაფები ამა თუ იმ ფრინველის სარგებლობის შესახებ, მოაწყონ „ფრინველის დღე“ მარტ-აპრილში, რომელსაც უნდა შეუფარდონ ფრინველთა პაწია სახლების გამოფენა.


პიონერი და ტყისა და ბაღის დაცვა.

ძალიან ხშირად ბავშვები ხეირობის, ექსკურსიის, დროს ცელქობისთვის ამტვრევენ, სჭრიან ახალგაზრდა ხეებს ნორჩ თავებს ჯოხისთვის, მერმე გადაისვნიან ხოლმე, ან დალუპავენ ძველ ხეებს, როდესაც ძირს მოჭრიან, ან დასჩეხენ ნაჯახით. ანდა რამდენი ხე ილუპება ძველი დახავსებული ჩვეულები-სათვის—ახალ წელს უნდა გაალამაზო ნაძვის ხე, ისე ვითომც ახალი წელი არ დადგება და არ ვარგა. ანდა რამოდენა ზარალი ხდება, აუარებელი ტყე ილუპება, როცა შეუგნებლივ და შემთხვევით ცეცხლს გადაადგებენ ფოთოლში, ან განგებ დაანთებენ და შემდეგ დასტოვებენ ცეცხლს—ჩნდება საშინელი ხანძარი, რომელიც მილიონების ზარალს აყენებს ყველას. ამის წინააღმდეგ პიონერმა უნდა აწარმოოს ბრძოლა, ლოზუნგად დაისვას: **ვინც არ უფლის ტყეს, ვინც არ არის მისი მეგობარი—ის მტერია ჩვენი ძვეყნის მეურნეობის.**

საზოგადო დათესვა.

პიონერი უნდა დაეხმაროს გლეხთა კომიტეტებს მიწების საზოგადო დახვნა-დათესვაში, ის უნდა დაეხმაროს ქვრივ-ობლებს, ინვალიდების, წითელარმიელთა ოჯახებს მიწების დამუშავებაში. ამ საერთო საქმეში პიონერები მონაწილეობენ გლეხკომების დავალებით. მათ შეუძლიათ, მაგ. დააწესონ მორიგეობა სახნაგის საქონლისაგან დასაცავად, მის აღება-დასამუშავებლად.

სოფლის პიონერები უნდა მოემზადონ და გახდენ „სოფლის მეურნეობის რევოლუციონერები“-ე. ი. მებრძოლნი სოფლის მეურნეობის აწევა-ამაღლები-სათვის, სოფლის მეურნეობის მოსავლის გასადიდებლად, სოფლის მეურნეობის კოლექტიურად, ამხანაგურად გარდასაქმნელად. თუ ყოველდღე სოფლის პიონერი შეეკითხება თავის თავს—**რა გავაკეთე მე დღეს ამ მიწის განსახორციელებლად?** და თუ ნაკლებია ან არაფერი გაუკეთებია, **შეეცდება და გამოასწორებს**, მაშინ ის შეასრულებს მასწავლებლის ანდერძს—**აუცილებლად ყოველდღე რაიმე, თუ გინდა პაწია, გააკეთე საერთო საქმისათვის.**



ჩვენი კმაზი მსოფლიოში

ჩვენი ორგანიზაციის განადგურება სურთ

(წერილი გერმანიიდან).

საბჭოთა კავშირის ნორჩი პიონერებო!

ვისწრაფით შეგატყობინოთ ჩვენი მუშაობის პირობები.

კოლექტივების კრებებს ხშირად ვაწყობთ. კრებები იხსნება საბრძოლველი სიმღერით, შემდეგ ვატარებთ საუბარს პოლიტიკის, სკოლის და ბავშთა გაჭირვების შესახებ და აგრეთვე, თუ როგორ ვითარდება ჩვენი ბავშთა კომუჯუტები. მაშინ, როდესაც თქვენი ორგანიზაცია სწრაფად მიდის წინ, ჩვენში მეტად ნელა გვიხდება წინსვლა, რადგანაც ჩვენ ბრძოლა გვიხდება ბურჟუაზიული საზოგადოების წესებთან და ცხოვრებასთან.

ჩვენმა წინამძღოლმა იმის შესახებაც კი გვითხრა, რომ შესაძლებელია მომავალში გერმანიის პოლიციამ კიდევ აკრძალოს ჩვენი ორგანიზაცია, რადგანაც ჩვენ გვსურს ბურჟუაზიული სახელმწიფოს და ბურჟუაზიული კონსტიტუციის მოსპობა.

კრებებზე ჩვენ ვმსჯელობთ არა მარტო პოლიტიკურ საკითხებზე, არამედ სხვებზედაც. ერთხელ კვირაში ჩვენ ვიკრიბებით იმისათვის, რომ მოვაწყუთ სახალხო თამაშობანი.

სალამოს, რომელიც მიძღვნილი აქვს თამაშობას, ამავე დროს ვიყენებთ პროპაგანდისათვის.

მოდიან მუშათა ბავშვები თავისი მშობლებით, ისინი ეცნობიან, თვალყურს ადევნებენ ჩვენს მუშაობას, ჩვენ ვიწვევთ ამ დაურაზმავ ბავშვებს ჩვენთან სამუშაოდ. ასეთი გზით კი მუშათა ბავშვებს საერთოდ ვაბამთ ჩვენს ორგანიზაციაში და მუშაობაში.

სალამოს 8 საათზე სიმღერით ვხურავთ ჩვენს კრებას. კრების დახურვისას ჩვენ ვამბობთ „იყავ მზად!“ და მივეშურებით შინისაკენ.

პიონერული სალამით — „ყოველთვის მზად ვართ“ — თქვენი ამხანაგები — შარლოტენბურგის პიონერები.

განვავაძობთ მუშაობას


ჩვენ, ჩრდილოეთ ჩინეთის ნორჩი პიონერები, რომლებიც ვცხოვრობთ დაშორებული თქვენგან, საბჭოთა კავშირის პიონერებისაგან, გივზავნით ძმურ პიონერულ სალამს.

გაცნობებთ, თუ როგორ პირობებში გვიხდება ჩვენ ახლა მუშაობა! გამხეცებული პოლიცია გაფაციცებით თვალყურს ადევნებს ჩვენს ყოველგვარ მუშაობას და ეძებს მიზეზებს ჩვენს მოსასპობად. ჩვენ მანჯურიაში ვერც კი შევძელით ჩაგვეტარებია ბავშთა საერთაშორისო კვირეული, რადგანაც პოლიცია გაძლიერებული რაზმებით გვითვალთვალვდა ზოგიერთ ბავშს. ვინც პიონერ-ორგანიზაციის წევრობაში იყო შენიშნული, ამ დღეს პოლიცია ცემატყეპით გაუმასპინძლდა.

მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, ჩვენ მაინც განვაგრძობთ მუშაობას და ბრძოლას თავისუფლების მოსაპოვებლად.

პიონერული სალამით

მანჯურიის პიონერები.



ჩ ვ ე ნ ი მ ი ლ ვ ე ვ ე ბ ი

იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის შემდეგ ქარხნებისა და ფაბრიკების 2/3 თითქმის ნანგრევებად გადაიქცა, ქარხნების მანქანები დაიღწეა. არ იყო არც სათბობი, არც ნედლი მასალა. ხვანა-თესვამ თვალსაჩინოდ იკლო...

მხოლოდ ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელი ფრონტი მოიხსნა. და რას ვხედავთ: ძველი აღდგენილია, შენდება მრავალი ახალი ქარხანა, შეიქმნა ბევრი ისეთი ახალი წარმოება, რომელიც არც კი დასიზმრებია მეფის რუსეთს; აღდგენილ იქნა და ვითარდება სოფლის მეურნეობა; მკვიდრ ნიადაგზე სდგას ჩერვონეცი-საბჭოთა ვალიუტა.

ამჟამად საბჭოთა კავშირის მთავრობა და მისი ხელმძღვანელი პარტია ახალ ამოცანას და ახალ გზებს ისახავენ საბჭოთა კავშირის ქვეყნებისა და ხალხების მეურნეობის განსავითარებლად და ასაღორძინებლად.

ჩვენ შევჩერდებით აქ მხოლოდ უმთავრეს მიღწევებზე. 1925—26 წლებში საბჭოთა კავშირის ქარხნებში გაკეთდა 11,5 მილიარდი მანეთის საქონელი.

სამიწათმოქმედო, მეთევზეობისა, სანადირო და ხე-ტყის მეურნეობის ნაწარმოებნი—16 მილიარდზე მეტის, 11 1/2 მილიარდის ნაწარმოო საქონელიდან 8,6 მილიარდი მანეთის სახელმწიფო მრეწველობის მიერ იყო გამოშვებული, დანარჩენი 2,9 მილიარდისაგან უმეტესი ნაწილი ეკუთვნოდა კოოპერატივების და ქალაქების (ალმასკომების) მრეწველობას.

აუარებელი სასოფლო-სამეურნეო საქონელიდან მხოლოდ 2 მილიარდი მანეთის იყო სახელმწიფოსა და კოოპერატივების ნაწარმოები, დანარჩენი კი 14,2 მილიარდის—კერძო წარმოების.

ეს ციფრები ჩვენ გვაჩვენებს საბჭოთა მეურნეობის უმთავრეს ხაზს.

მრეწველობა თითქმის მთლად სახელმწიფოს ხელშია.

მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო იქნება ჩვენთვის, თუ გავითვალისწინებთ ნაწარმოებთა ზრდას ამ სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში.

თუ 23—24 წლის განმავლობაში გამოუმუშავებულ პროდუქტს მივიღებთ საფუძვლად, რომელიც, ვთქვათ, 100-ს უდრის, მაშინ ჩვენთვის თვალსაჩინო იქნება ამ დიაგრამაზე სასოფლო-სამეურნეო საქონელის რაოდენობის ზრდა.

ჩვენ ვხედავთ საბჭოთა კავშირის მრეწველობის და აგრეთვე სასოფლო-მეურნეობის ძლიერ ზრდას. მაგრამ ეს ზრდა სოფლის მეურნეობაში უფრო ნელა მიდის, ვიდრე მრეწველობაში.

რატომ მოხდა ეს, ჩვენთვის ცხადი იქნება, თუ გავითვალისწინებთ სასოფლო მეურნეობის განადგურებას, მსოფლიო იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების მიერ გამოწვეულს.

მხოლოდ 1922 წლიდან იწყებს საბჭოთა მეურნეობა სწრაფი ნაბიჯით აღორძინებას. მაგრამ განადგურებული სასოფლო მეურნეობის აღდგენა უფრო ადვილია, ვიდრე მრეწველობის. გლახმა გაავლო თოფი და მოჰკიდა ხელი გუთანს, მდარე, მაგრამ იარაღი მაინც შეიძინა და ისევ შეუდგა ხვანა თესვას. ცხადია, გაცილებით უფრო ძნელია ქარხნის ხელახლა ამუშავება.



პურის რაოდენობის ზრდა.

ამიტომ სასოფლო-მეურნეობამ ერთბაშად აიწია 22—23 წლების განმავლობაში და შემდეგ კი მისი ზრდა უფრო ნელი ნაბიჯით წავიდა წინ.


მრეწველობაში კი ეს ასე როდი მოხდა. მრეწველობა სწრაფად აღორძინდა, ძალიან სწრაფად, მაგრამ რაც განადგურებული იყო, იმის ნახევარზე მეტის აღდგენა შეუძლებელი გახდა ერთი წლის განმავლობაში.

ამჟამად საბჭოთა კავშირმა მრეწველობის ყველა დარგში მიაღწია ომამდე არსებულ ნორმებს. რაც განადგურებული იყო, უკვე აღდგენილია.

საჭიროა ახალის შენება.


ამიტომაც მიმდინარე სამეურნეო წელს საბჭოთა კავშირის ქვეყნებისა და ხალხების წინაშე სრულიად ახალი ამოცანები წამოიჭრა.

ახალი სამრეწველო მშენებლობა, საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია — აი რა ლოზუნგი წამოაყენა კომუნისტურმა პარტიამ.



ფართლის რაოდენობის ზრდა.

გასულ წელს ახალი ქარხნების ასაშენებლად და ძველების მოსაწყობად 750 მილიონი მანეთი დაიხარჯა. მიმდინარე წელს კი ამ საქმისათვის გადადებულია 900 მილ. მან. მაგრამ გასულ წელს ფული დაიხარჯა უმთავრესად ძველების გადასახალისებლად, წრეულს კი დაიხარჯება ახალ წამოწყებათა ასაშენებლად



რამდენად დიადია ეს მშენებლობა, ჩვენ ვხედავთ საქართველოს მაგალითზე: მიმდინარე წელს უნდა დამთავრდეს მთელ ამიერკავკასიაში თავისი სიმძლავრით უპირველესი და მთელ კავშირში კი მეორე სიმძლავრის ჰიდრო-ელექტრო-სადგური „ზაჰესი“..

ამ ზაფხულზე უნდა ამოძრავდეს აბაშის ჰიდრო-ელექტროსადგური, სრულდება აჭარის ჰიდროსადგური და იწყება რიონის ჰიდრო ელექტროსადგურის შენება, იწყება აგრეთვე ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავება, რომლებიც ამდენ ხანს არ მუშავდებოდა: ინფუზორიის მიწის, ლიტოგრაფიის ქვის, ბარიტის და სხ.

აშენებენ უზარმაზარ სახერხ ქარხანას მდინარე ბზიბზე (აფხაზეთში), ტყეჩის ქარხანას კარაქის კასრებისათვის ბორჯომში, ცემენტის ქარხანას—კავთისხევში, მაუდის ქარხანას—ტფილისში. განზრახულია მდინარე ენგურზე მოეწყოს ქალაქის ქარხანა, რომელიც დაამუშავებს მთელი ამიერკავკასიისათვის საკმაო ქალაქს.

ასეთია ახალი სამრეწველო მშენებლობა საქართველოში, ასევე უხვად არის გაშლილი მრეწველობა მთელ კავშირში.

საკმაოა აღვნიშნოთ, რომ წრეულს საბჭოთა კავშირი იწყებს მთელ დედამიწის ზურგზე უძლიერესი ელექტროსადგურის „დნეპროსტროის“ შენებას. ეს უზარმაზარი მშენებლობა—ერთი ამოცანათაგანია, რომელიც უნდა შესრულდეს მიმდინარე წლის განმავლობაში.

მეორე ამოცანას შეადგენს ჩვენი სოფლის მეურნეობის უმაღლეს დონეზე აყვანა. მართალია, სოფლის მეურნეობამ იმ მდგომარეობას მიაღწია, როგორც ომამდის იყო, მაგრამ განა გლეხობის მეურნეობა მაღლა იდგა მეფის რუსეთში? ჩიჩქნიდა გლეხი თავისთვის თოხით და პირველყოფილი სახნისით თავის ბოსტანს და ყანას, როგორც ძველად მისი მამა-პაპა, და მისი მეურნეობის გაუმჯობესებაზე არავინ ფიქრობდა. მეფის რუსეთის ეს წესები მეურნეობაში უნდა დაავიწყოს ხალხს საბჭოთა კავშირმა. კავშირის სოფლებში ათიათასობითაა გაფანტული ტრაქტორები, სათესავები, სანიავებლები, საღებავები და სხვა სამეურნეო იარაღები. განზრახულია მრავლად გაიზავნოს ტრაქტორები და აგრეთვე სხვა სამეურნეო იარაღები საქართველოს სოფლებში. ამას გარდა განზრახულია ყოველნაირად შეუწყონ ხელი ბამბისა, თუთუნის, ჩაის, კანაფის, აბუსალათინის ¹⁾ მოყვანის საქმეს.

1) მცენარე, რომლისაგანაც ხდიან სასაქმებელ ზეთს.

მაგრამ გლეხს შეუძლია თავისი მეურნეობის გაუმჯობესება მხოლოდ მაშინ, თუ მას იაფფასიანი საქონელის ყიდვის შესაძლებლობა ექნება.

თუ გლეხი 16 კილო (ერთ ფუთ) პურში მიიღებს ერთ მეტრ ჩითს, ის ვერ გააუმჯობესებს თავის მეურნეობას.

აქედან სჩანს, რომ ერთი მთავარი ამოცანა, რომელიც სდგას საბჭოთა მეურნეობის წინაშე, არის სამრეწველო საქონელის ფასის დაწვევა.

თუ მიეცემთ გლეხს იაფფასიან საქონელს—ის გააუმჯობესებს თავის მეურნეობას, შეძლებული გახდება, უფრო მეტ საქონელს შეიძენს, მრეწველობაც განვითარდება.

მაშასადამე, ფასების დაწვევა საქიროა არა მართო გლეხობისათვის, არამედ თვით მრეწველობის განვითარებისათვისაც.

როგორ შეიძლება ფასების დაწვევა? ჯერ ერთი, რომ წარმოება ქარხნებში უნდა გაუმჯობესდეს, უნდა დამუშავებულ იქნას მეტი საქონელი.

წარმოების ზრდა ორი გზით შეიძლება:

პირველი გზა არის ქარხნების გამრავლება, ახალი მანქანების შემოღება, ძველის შეკეთება და სხ.

მეორე გზაა—შრომის ნაწარმოების ზრდა.

ამ საშუალებებს გარდა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ კიდევ ერთი ამოცანა წამოაყენეს.

ეს არის ჩვენი **სავაჭრო აპარატის გაუმჯობესება**.

რაც უნდა იაფად გამოუშვას მრეწველობამ საქონელი, თუ სავაჭრო ორგანიზაციები ძვირად გაყიდიან, ფასის დაწვევისაგან არაფერი არ გამოვა. სავაჭრო აპარატის გასაუმჯობესებლად საქიროა გაძლიერდეს კოოპერაცია, უნდა შემცირდეს ზედნადები ხარჯები.

უნდა სისრულეში იქნას მოყვანილი ვ. ლენინის ანდერძი: უნდა ვისწავლოთ ვაჭრობა.

ამნაირად, უმთავრესი ამოცანები, რომლებიც სდგას საბჭოთა მეურნეობის წინაშე, არის: განვითარება ახალი სამრეწველო აღმშენებლობისა; სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება და საქონელზე ფასების დაწვევა.

ამ უმთავრესი ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად საქიროა ბევრი სხვა ამოცანის განხორციელება. ეს საქმე ერთობ მძიმე და საპასუხისმგებლოა.

მაგრამ კავშირის ხალხთა მუშათა და გლეხთა ძალით შეიძლება ყოველნაირი დაბრკოლება დაძლეულ იქნას და ყოველი ამოცანა გადაჭრილ იქნას მშრომელთა საკეთილდღეოდ.

კ. ლეო.





როგორ უნდა

აიკინამოს ღიბნები

უპირველეს ყოვლისა უნდა ეცადოთ იზოგნოთ ახალი და დაუგლეჯელი წიგნები, რადგან აკინძვის სწავლა ახალ წიგნებზე ადვილია.

წიგნის ყოველ ნაპირს თავისი სახელი აქვს: ზედა მხარეს ეწოდება თავი, ქვედას--ბოლო, წიგნის იმ მხარეს, რომელიც აკინძულია, ეწოდება ზურგი, მის მოპირდაპირეს კი ჰქვიათ წინა მხარე.

თავდაპირველად უნდა მოიხიოს წიგნის გარეკანის ფურცლები.

თუ რომ გადავშინჯავთ წიგნის ზურგს, დავინახავთ, რომ წიგნი შესდგება ცალ-ცალკე რვეულებისაგან. ეს რვეულები შეკერილია ძაფით, მათულით ან მიკრულია წებოთი ისე, რომ, თუ წიგნს დავშლით, მივიღებთ ცალკე რვეულებს, რომლებიც შემდგარია 16 ან 32 გვერდისაგან.

უნდა დავშალოთ წიგნი და მიღებული რვეულები დავაწყოთ საფეხურებივით, თანაც ჩოუნგი დანით უნდა გავასუფთაოთ წებოთი გასვრილი წიგნის ზურგი.

შემდეგ ეს რვეულები უნდა შესწორდეს და ჩაიწყოს ორ ფიცარ შუა წნებში.


ნახმარი წიგნების დაშლა ძნელია და უფრო მეტი დრო უნდება. ფურცლების ნაპირი ხშირად დაგლეჯილია და ამიტომ დახეული ადგილები უნდა შესწორდეს.

რამოდენიმე ხნის შემდეგ წიგნი უნდა ამოვიღოთ წნებიდან და მოვამზადოთ ზურგის ამოსახერხად: ყველა რვეულს ვალაგებთ სწორედ და წიგნს ხელმეორედ ვდებთ წნებში, ისე რომ მისი ზურგი გამოიწეული იყოს 1/2 დუიმიტ; შემდეგ მასზე ვნიშნავთ 4 ან 5 ალაგს და ამ ნიშნების ადგილები უნდა ჩაეხერხოთ. შუაში ჩაეხერხილი ორი ადგილი არის მსხვილი კანაფისათვის, რომელიც თავისუფლად უნდა ჩადიოდეს ჩაეხერხილ ადგილში, ორი განაპირა კი უფრო წვრილი უნდა იყოს (გასინჯე ნახატი). თუ ხერხი არა გაქვთ, შეიძლება ჩაიხერხოს მჭრელი დანით, რომელიც დახრილად უნდა გაეჭიროთ.

ვიდრე წიგნი ძვეს წნებში, ჩვენ შეგვიძლია დავამზადოთ ფორზაცები.

ვიღებთ ქალაღს, წიგნის სიგრძის სიგანისას, სიგძით კი 2 1/2 ჯერ წიგნზე განიერს; ეს ქალაღი უნდა გადიკეცოს ისე, რომ ერთი ნაწილი ცოტათი მეტი იყოს მეორეზე.

ფორზაცი, რამაც უნდა შეაერთოს წიგნი და მისი ყდა შიგნიდან გადაკვრივით, საჭიროა ორი; ეს ფორზაცი კეთდება უბრალო ქალაღისაგან.




როგორ უნდა შეიკროს ფურცლები (რვეულები).

ამის შემდეგ შეგვიძლია დავიწყოთ შეკერვა, რისთვისაც საჭიროა დავამზადოთ დაზგა--ნაყიდი ან შინ ვაკეთებული. დაზგის ორ ფიცარს შუა უნდა გაიბას ორი კანაფი, შემდეგ მარცხენა მხრიდან დაზგას ისე უნდა მივუდგეთ, რომ მარცხენა ხელი მოთავსებული იყოს დაზგაზე ან მაგიდაზე, მარჯვენა კი კანაფების მეორე მხარეზე.

პირველ და ბოლო რვეულს უნდა მიედოს შიგნით ჩაკეცილი ფორზაცები; ისე რომ პირველი და უკანასკნელი რვეულების ნაპირები შეიღოდეს ნაკეცის შიგნით.

წიგნი იღება ისე, რომ პირველი გვერდი იყოს ზევით, შემდეგ ვიღებთ პირველ რვეულს, ვადებთ კანაფს ისე, რომ მჭიდროდ მიეკრას შუაში ჩახერხილებს.

რვეული აქ უკვე ძვეს პირველი გვერდით ზევით. ფურცლების ნომრები არის მარჯვენა ხელისკენ. ამრიგად შეკერვის დროს ყველა რვეულს შეაბრუნებთ ხოლომე გვერდების მცირე ციფრით ქვეით, მარჯვენა ხელში იღებთ აგებულ წემსს, მარცხენა ხელი კი რვეულის შუაშია და როდესაც გა-



1. წიგნის დაკვეცვა ფორმატზე.
2. ნაპირის შემოკვეცვა.
3. მზა ფორზაცი.

დახერხილებს მისწევთ მჭიდროდ კანაფებთან და შეასწორებთ ფორზაცებს რვეულის თავებთან, იმ დროს წემსს უყრით გარედან პირველ ჩახერხილში, მარცხენა ხელით კი გაგაქვთ წემსი, მხოლოდ გარეთ სტოვებთ მცირეოდენ ძაფს.

შემდეგ უყრით წემსს შიგნიდან, მეორე ჩახერხილგარეთ წემსი გაგაქვთ მარჯვენა ხელით, მწვევით ძაფს და კიდევ უყრით წემსს მეორე გახერხილში, კანაფის გარშემო, შიგნიდან კიდევ მარცხენა ხელით გაგაქვთ წემსი მესამე გახერხილში, მარჯვენა ხელი

ხელმეორედ უვლის წემსით მეორე კანაფს, წემსი კიდევ უდის შიგნიდან მესამე გახერხილში, აქედან წემსი შიგნიდან მარცხენა ხელით გაიყრება მეოთხე გახერხილში, რომელშიც ძაფი გარედან უნდა გაიჭიმოს.

რვეული მჭიდროდ უნდა მიეკრას კანაფებს.

შემდეგ იღებთ მეორე რვეულს, დებთ იმასაც კანაფებთან მჭიდროდ და განაგრძობთ პირველ მუშაობას.

ამრიგად რვეულები ერთდება.

მიმაგრება საჭიროა ყოველთვის რვეულის ორივე მხრიდან.

ასე სრულდება წიგნების მიკერება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ძაფის გაჭიმვას, რვეულების შესწორებას თავებში და კანაფებთან მჭიდროდ მიახლოვებას.


პირველი და უკანასკნელი რვეული უნდა მიეკრას ფორზაცს.

როდესაც წიგნები მიკერდება, ვიღებთ დაზვიდან, თვითუფლ კანაფს ვჭიმავთ მოწინააღმდეგე მხარეებისაკენ და ორი სამი დუიმის მანძილზე ზედმეტ კანაფს ვჭრით.

ახლა წიგნის ორივე მხრიდან ჩვენ გვაქვს ორორი კანაფი, რომლის წვერებიც უნდა დაიძენძოს დასაძენძი იარაღის საშუალებით. ამისათვის წიგნს სდებენ მაგიდაზე ნაპირით მომუშავესაკენ, ძაფის წვერებს რიგ-რიგობით ატარებენ დასაძენძი იარაღის გახერხილ ადგილში და დანით სძენძავენ.

როდესაც კანაფის წვერი უკვე დაძენძილია, ვაკრავთ მას ფორზაცის ქვევით, შემდეგ წიგნის შიგნიდან მხარეს ზევით და ქვევით ვაკრავთ ფორზაცის ნაკეცებს და მცირე ხნით წიგნი იღება წნეხში, შემდეგ ჩაკერებულ რვეულებს ერთმანეთს წებოთი მივაკრავთ, რისთვისაც წიგნს ვდებთ ორ ფიცარ შუა ისე, რომ წიგნის შეკერილი მხარე და ფიცარების ნაპირები ეთანასწორობოდეს ერთმანეთს.

წებოიან პატარა ფუნჯს ვუსვამთ რამოდენიმეჯერ წიგნის შეკერილ ნაპირს, რომელიც უნდა დაიტკეპნოს ჩაქუჩით, რომ წებო მჭიდროდ ჩაჯდეს რვეულებში და ერთმანეთს კარგად მიეკრას, მერე კი წიგნი უნდა გავაშროთ.



სახელწოდება ხელსაწყოები: 1. ძვალი, 2-ხერხი, 3-დამძენძი, 4-კუთხედი, 5-ფალც-სახაზავი.

ს ა უ ზ ა რ ი ბ ა ვ უ

კ მ რ ე ს კ მ ნ დ ე ნ -

ტ ე ზ თ ა ნ .



დაიჭირე კავშირი რედაქციასთან.

ბავშვობის ვალდებულებას შეადგენს მკიდრო კავშირი ჰქონდეს თავის ჟურნალთან და მის რედაქციასთან.

დასწერე იმაზე, თუ როგორ მუშაობენ ამხანაგები, შეეკითხე რედაქციას, რაც შენთვის გაუგებარია, და პასუხს მიიღებ. უსათუოდ აცნობე რედაქციას, თუ როგორ ეპყრობიან პიონერები და შეუკავშირებელი ბავშვები ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს, როგორ კითხულობენ, რა მოსწონთ, რა არ მოსწონთ, როგორ მიდის ხელის მოწერის საქმე და სხვა. ასეთი წერილებით ბავშვობის დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც თავის თავს, ისე რედაქციას. ჟურნალი გაუმჯობესდება, მკითხველებთან კავშირი გაძლიერდება.

სწერე სხვებისთვისაც.

ჟურნალ-გაზეთებს ბევრი ბავშვი კითხულობს. მაშასადამე, ბავშვობა უნდა სწეროს იმის შესახებ, რაც ყველასათვის, და არა მარტო მისთვის, არის საინტერესო.

არ უნდა აწერო ისეთი მუშაობა, რომელიც ყოველგან კეთდება და კეთდება ერთნაირად, არამედ უნდა აჩვენო ისეთი მუშაობა, რომელიც სხვისთვისაც იქნება სამაგალითო, მათაც მოუტანს სარგებლობას.

მაშინ შენი შენიშვნა საგულისხმო და საინტერესო იქნება.

ბავშვობის მუშაობის ფორმა.

იმისათვის, რომ კარგი ბავშვობის იყო და, შეიძლება, მომავალში კარგი მუშაკობაც, აუცილებელია ისწავლო, განვითარდე. განა შეიძლება იყოს ბავშვობის უსწავლელი, წერა-კითხვის უცოდინარი?

ცხადია — არა. რამდენადაც ნასწავლია ბავშვი, იმდენად უფრო უკეთესი კორესპონდენტი იქნება.

თუ, მაგალითად, ერთი წლის მუშაობის შემდეგ ბავშვობის შედეგებს თავის პირველ და უკანასკნელ შენიშვნას, ნათლად დაინახავს მათ შორის დიდ განსხვავებას. პირველი შენიშვნა გაცილებით სუსტი იქნება უკანასკნელზე. ეს კი იმას გვიჩვენებს, რომ ბავშვობა ისწავლა უკეთესად წერა. როგორაა საქარო სწავლა? — უნდა იკითხოთ წიგნები: ამის მეოხებით ვითარდება აზრი, იმარაგებ კარგ და გარკვეულ წინადადებებს. საერთოდ კითხვა ანვითარებს აღამიანს. საჭიროა გაზეთების კითხვა, უნდა ისწავლო მუშაკობის კარგი შენიშვნებითაც, გაეცნო გარემოცულ ცხოვრებას, იმ საკითხებს, რაზედაც სწერ. რამდენადაც მეტს კითხულობ წიგნებს, გაზეთებს, ჟურნალებს, მოთხრობებს, იმდენად ადვილია შენიშვნის დაწერა და რამდენადაც მეტს სწერ, მაშინ უფრო და უფრო ეჩვევი მას.

ამასთანავე ბავშვობები უნდა შემოიკრიბონ სკოლის კოლექტივის კედლის გაზეთის გარშემო. კედლის გაზეთის რედკოლეგიამ ხშირად უნდა მოიწვიოს მათი კრებები. ამ კრებებზე ბავშვობები უნდა აკეთებდნ მოხსენებებს სხვადასხვა საკითხებზე (მაგ. რა ნაკლი აქვს ჩვენს კედლის გაზეთს, როგორ შეიძლება მისი გაუმჯობესება, რას უნდა მიიქციოს ყურადღება თავის მომავალ მუშაობაში რედკოლეგიამ და სხვ.). ამ კრებებზე აგრეთვე უნდა მოიწვიონ მუშაკობები, გლეხკობები და ახკობები. მათ უნდა უამბონ ბავშვობებს, თუ როგორ დაიწყეს მათ კორესპონდენტობა. ასეთ საუბრებს დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა ექნება ბავშვობებისათვის.

ასეთი უნდა იყოს ბავშვობის მუშაობის ამოცანები.

ამის შესრულებაზე უნდა ზრუნავდეს ყოველი ბავშვობი.



ჩ ვ ე ნ პ ი ო ნ ე რ ი.

წინ მიედივართ, წინ მივქრით,
წინ, წინ — ამღერებულნი.
მკაცრ სიცოცხლით ავსილნი,
ცეცხლში გაკაჟებულნი!
მუდამ ჩვენს ხელში არის

ფერად დროშა წითელი,
წინ მიედივართ, წინ მივქრით
ჩვენ, ძველის გადამთელნი.
ქ. სენაკის საბავშვო სახლის მოწაფე
აკაკი მოსიავა.

გერმანული პიონერის სიმღერა.

ერთად, ერთად, პიონერო,
ჩვენ ერთი გვაქვს გზა სავალი:
დაჩაგრულნი შევიყვაროთ
და მუშებს მივცეთ სალამი.

ბრძოლის ველზე ერთად ვიყოთ,
შევკავშირდეთ ჩვენ ყველანი,
გვწამდეს მუდამ შრომის შვილი,
არ დავეაროთ ძირს ფარ-ხმალი.
იაშა ჩხარტიშვილი.

ს ი მ ლ ე რ ა ზ ლ ვ ა ზ ე.

ზღვა ღელავს, ღმუის, ბობოქრობს,
ტალღა ტალღაზე გადაჰფენია.
მათ ხმის ბანს აძლევს მათ ირგვლივ
მღუმარე მათა და კლდენია.
ქარი ჰქრის, გრიგლის ტალღები
ზღვას გადმოჰღმუის თავზედა,

ნავი მოჰქრის და მოჰკურავს,
ტალღებს მოაპობს ზღვაზედა.
ზღვა ღელავს; შფოთავს, ზანზარებს,
ტალღებს იგორებს თავზედა,
გრივალი დაქრის, დაღმუის,
ბობოქრობს მქექარ ხმაზედა.


ვანო მირიანაშვილი.


დაჭკა, დაჭკა!

შრომის შვილო, დაჭკა, დაჭკა,
დაჭკა თოფი და ნალარა!
მივაძახოთ წარსულ ხანას:
„ალარ გესუხხარ, არა, არა!“
გამოთხიზლდი, შრომის შვილო!..
უკუნს გუნდა მივაყაროთ,
მეგობრობა ძმათა შორის
ჩვენი ცოდნით დაფაყაროთ.
ჩვენმა დიდმა სიძლიერემ
მტრის გუნდები გადაჭკარგა,

დღეს კი გეტყვი შენ თამამად:
„შრომის შვილო, დაჭკა, დაჭკა!“
წინ მიგვიძღვის დიდი შრომა,
ხმა გმირული, ანაკვესი,
ჩვენ გზას ზომა აღარა აქვს,
არც საყენი და არც ვერსი!
შრომის შვილო, დაჭკა დაჭკა,
დაჭკა დაფსა და ნალარას!
ქვა და გუნდა მივაყაროთ
ძველ დროსა და წარსულ ხანას.

აპოლონ მახარაძე.





ორბანიზატორის დაჯერება.

(ინგლისელი პიონერების თამაში).

მოწაფეებმა სკოლაში დააარსეს ჯგუფი: „ნორჩ ამხანაგთა ლიგა“ და სკოლის დირექტორს სურს აღმოაჩინოს ლიგის დამაარსებელი.

თვალახვეული დირექტორი სდგას ირგვლივ შემორტყმულ ბავშვების წრეში.

უკანასკნელნი დადიან დირექტორის გარშემო და მღერიან რევოლუციონურ სიმღერებს იმ დრომდე, ვიდრე ის ჯოხით არ დააბრაზუნებს იატაკზე.

დაბრაზუნების შემდეგ კი ყველა ბავში ჩერდება და დირექტორი თავისი ჯოხით უჩვენებს ერთ მოთამაშეთაგანზე, რომელიც წასწვდება ხელით ჯოხის წვერს.

დირექტორი ეკითხება:

— თქვენ ხართ ჯგუფის ხელმძღვანელი? ის ჩუმად არის.

დირექტორი ეუბნება:

— შენ მალე აღმოჩნდები. დაიყვირე ისე, როგორც... (იგი ასახელებს რომელიმე ცხოველს: მაშალი, კამეჩი, ძაღლი და სხვ.).

დაქერილმა ხმამალმა უნდა დაიყვიროს, ეს ყვირილი კი უნდა მიახვავდეს დირექტორის მიერ დასახელებული ცხოველის ხმას. ამ ხმაზე დირექტორი უნდა ეცადოს გამოარკვიოს მოთამაშის სახელი.

თუ მან სწორედ გამოიცნო, იმ შემთხვევაში დაქერილი იკავებს დირექტორის ადგილს და აიხვევს თვალებს.

თუ დირექტორმა ვერ გამოიცნო, მაშინ თამაში გრძელდება იმ დრომდე, ვიდრე დირექტორი სწორედ არ დასახელებს მის მიერ შეჩერებულის სახელს.

მას, რომელსაც უკავია ჯოხის წვერი, შეუძლია გამოიცვალოს თავისი ხმა, ანდა ჩაჯდეს მიწაზე, რათა შეცთომას შეიყვანოს დირექტორი.

საზღვარზე გადასვლა.

ღამეა. საზღვარია, ამ უკანასკნელზე გამწკრივებული არიან ჟანდარმები, რომელთა შორისაც რვა ნაბიჯი მანძილია.

ერთი მხრიდან პოლონეთის, მეორედან ს.ს.რ.კ. პიონერებს სურთ გადავიდნენ საზღვარზე საერთაშორისო საბავშვო კვირეულის მოსაწყობად.

პოლონეთის საზღვარიდან კი გადმოსვლა სურთ ჩვენსკენ.

ღამე ჟანდარმები ცუდად ხედავენ (მათ უხევევენ თვალებს, ანდა ქუდებს ჩამოუწვევენ სახეზე.)

სრული სიწყნარე და სიჩუმეა.

ჟანდარმები არ მოძრაობენ.

პიონერები წელში იხრებიან, საზღვარზე გადასასვლელად ემგზავრებიან.

ხელმძღვანელი სტვენს.

დასავლეთის პიონერები ნელ-ნელა მოიწვევენ წინ.

ცდილობენ არ იხმაურონ, სრული სიჩუმეა.

ყოველი გადმომსვლელის მიზანია გადავიდეს საზღვარზე შეუმჩნეველად, ამასთანავე გადარბენაც არ შეიძლება და სწორედ მოიპარებიან.

ჟანდარმები უთვალყურებენ. თუ რომ მათ ეჩვენებათ, რომ მტერი მათ გვერდშია, ისინი ხელს იწვევენ ხმაურობის მიმართ. თუ ხელი დანამდვილებით უჩვენებს პიონერის ადგილმდებარეობას, მაშინ უკანასკნელი ვალდებულია ხუთი ნაბიჯით უკან დაიწიოს და ხელახლა დაიწყოს მიპარვა.

თუ რომ დანიშნული დროის განმავლობაში მეტი წილი ბავშვებისა მოასწრებს საზღვარზე გადასვლას, მაშ გადასვლა მოხერხდა; წინამძღვრე შემთხვევაში გამარჯვებულნი რჩებიან ჟანდარმები.

უკანასკნელებს თამაშობის დროის განმავლობაში ნება არა აქვთ მოსცილდნენ ადგილს. მხოლოდ ნება ეძლევათ ცალი ფეხი წინ გამოწიონ და ტანში მოიხარონ.

თამაშის დროს სრული სიჩუმე უნდა იქნეს დაცული.



გამოვა 1927 წ. გამოვა

თრკვირული საშინაო სასუკათეული

ქუჩნალი

მოსკოლთათვის

პიონერი

წელიწადი II

ქუჩნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლებისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების უოველი წევრის, ორგანიზაციის უოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულე-ბაა გამოიწერონ

პიონერი

მიიღება ხელის მოწერა 1927 წლისათვის.

ქუჩნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში	— 5 მან.
ექვს თვეს	— 3 მან.
სამ თვეს	— 1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი — 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი № 31, განათლების სახალხო კომისარიატი. „პიონერი“-ს და „ნაკადული“-ს რედაქცია.

რედაქტორი — სარკელაქვიო კოლეგია.